

140
1053/3



ვერსიონები

3
მარტი
1953



საქართველო
საბჭოთავო
საქართველო



კ რ ი ტ ი კ ა

საბავთველოს ალკა ცენდრალური კოვიტების
შოველთვიური საბავშვო შურნალი

№ 3



მარტი, 1953 წ.

წელიწადი XXVII



იოსებ ბესარიონის-ძე სვალნი

6604



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

პარტიის ყველა წევრს, საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეს

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უდიდესი მწუხარების გრძნობით აუწყებენ პარტიას და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს, რომ 5 მარტს საღამოს 9 საათსა და 50 წუთზე მიიმე პავლუხოვსის შემდეგ გარდაიცვალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

შეწყდა ლენინის თანამებრძოლის და მისი საქმის გენიალური განმგებლის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადის და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გულისცემა.

სტალინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია ჩვენი პარტიისათვის, საბჭოთა ხალხისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის. ლენინთან ერთად ამხანაგმა სტალინმა შექმნა კომუნისტების მძლავრი პარტია, აღზარდა და გამოაწროთ იგი; ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელი და ბელადი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი. განაგრძობდა რა ლენინის უცვლად საქმეს, ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხი მიიყვანა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე. ამხანაგმა სტალინმა მეორე მსოფლიო ომში ჩვენი ქვეყანა მიიყვანა ფაშიზმზე გამარჯვებამდე, რამაც ძირეულად შეცვალა მთელი საერთაშორისო ვითარება. ამხანაგმა სტალინმა შეაიარაღა პარტია და მთელი ხალხი სსრ კავშირში კომუნისტების მშენებლობის დიადი და ნათელი პროგრამით.

გარდაცვალება ამხანაგ სტალინისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა კომუნისტების დიადი საქმისადმი თავდადებულ სამსახურს, უმძიმესი დანაკლისია პარტიისათვის, საბჭოთა ქვეყნის და მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის.

ცნობა ამხანაგ სტალინის გარდაცვალების შესახებ ღრმა მწუხარებას გამოიწვევს ჩვენი სამშობლოს მუშათა, კომუნურნეთა, ინტელიგენტთა და ყველა მშრომელის გულში, ჩვენი ძღვევამოსილი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომართა გულში, მსოფლიოს ყველა ქვეყნის მილიონობით მშრომელთა გულში.

ამ გლოვის დღეებში ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ ირავდება დიად მშურ ოჯახში ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი და გამოზრდილი კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით.

საბჭოთა ხალხი უსაზღვრო ნდობით ეკიდება და მსურვალე სიყვარულით არის გამსჭვალული თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, რადგან იცის, რომ პარტიის მთელი მოღვაწეობის უმაღლესი კანონია ხალხის ინტერესებისადმი სამსახური.

მუშები, კომუნურნეები, საბჭოთა ინტელიგენტები, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი განუხრელად მისდევს ჩვენი პარტიის პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება მშრომელთა საინტერესო ინტერესებს და რომლის მიზანია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცება. კომუნისტური პარტიის ამ პოლიტიკის სისწორე შემოწმებულია ათეული წლების ბრძოლით, მან საბჭოთა ქვეყნის მშრომელებისათვის უზრუნველყო სოციალიზმის ისტორიული გამარჯვებანი. ამ პოლიტიკით შთაგონებული საბჭოთა კავშირის ხალ-

ნები პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ მიღიან წინ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისაკენ.

ჩვენი ქვეყნის მშრომლებმა იციან, რომ მოსახლეობის ყველა ფენის — მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენტების მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაქმავადება ყოველთვის იყო და არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი.

საბჭოთა ხალხმა იცის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა და ძლიერება იზრდება და მტკიცდება, რომ პარტია ყოველი ღონისძიებით განამტკიცებს საბჭოთა არმიას, სამხედრო-საზღვაო ფლოტს და დაწვერვის ორგანოებს, რათა განუწყვეტლივ ვამდლოთ ჩვენი მზადყოფნა იმისათვის, რომ განამადგურებელი პასუხი გავცეთ ყოველ აგრესორს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის საგარეო პოლიტიკა იყო და არის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ურყევი პოლიტიკა, ახალი იმის მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკა.

საბჭოთა კავშირის ხალხები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ერთგულნი, განამტკიცებენ და ავითარებენ ძმურ მეგობრობას დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომლებთან, მეგობრულ კავშირს კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომლებთან, რომლებიც იბრძვიან მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის დიადი წარმმართველი, ხელმძღვანელი ძალა ჩვენი კომუნისტური პარტია. პარტიის რიგების ფულადისებრი ერთიანობა და მონოლითური დარაზმულობა მისი ძალისა და ძლიერების მთავარი პირობაა. ჩვენი ამოცანა თვალისჩინივით დავიცვათ პარტიის ერთიანობა, აღვზარდოთ კომუნისტები როგორც აქტიური პოლიტიკური მებრძოლნი პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კიდევ უფრო განვამტკიცოთ პარტიის კავშირი ყველა მშრომელთან, მუშებთან, კოლმეურნეებთან, ინტელიგენტობასთან, რადგან ხალხთან ეს განუყოფელი კავშირია ჩვენი პარტიის ძალა და უძღვევლობა.

პარტიას თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ის მიაჩნია, რომ კომუნისტები და ყველა მშრომელი აღზარდოს დიდი პოლიტიკური სიფიზილის სულისკვეთებით, შინაურ და გარეუ მტრებთან ბრძოლაში შეურიგებლობისა და სიმტკიცის სულისკვეთებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მიმართავენ რა ამ გლოვის დღეებში პარტიასა და ხალხს, გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ პარტია და ჩვენი საშობლო ყველა მშრომელი კიდევ უფრო მჭიდროდ დაიარაჟებთან ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მოახდენენ მთელი თავიანთი ძალებისა და შემოქმედებითი ენერჯიის მოზოლიზაციას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი საქმისათვის.

სტალინის უკვდავი სახელი მუდამ იცოცხლებს საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში.

გაუმარჯოს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიად, ყოვლისმძლე მოძღვრებას! გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს! გაუმარჯოს ჩვენს გმირ საბჭოთა ხალხს! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის დიად კომუნისტურ პარტიას!

საბჭოთა კავშირის	სსრ კავშირის	სსრ კავშირის
კომუნისტური პარტიის	მინისტრთა	უმაღლესი საბჭოს
ცენტრალური კომიტეტი	საბჭო	პრეზიდიუმი

ბელადის კუბოსთან

უსაზღვროდ სევდიანი, მღუმარე და შეშფოთე-
ბულია ამ დილით მოსკოვი.

განუზომელ მწუხარებას მოუცავს ადამიანთა
გულიც, გლოვის შვიი თალხი ბურუსივით დასწო-
ლია დედაქალაქის ქუჩებს, მოედნებს. ბოლო არ
უჩანს ადამიანთა ცოცხალ მდინარეს, რომელიც
კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზისაკენ
მიემართება. აქ, ამ დარბაზში ასვენია კაცობრიო-
ბის მშრომელთა დიდი ბელადის იოსებ ბესარიო-
ნის-ძე სტალინის ცხედარი.

აქ, ამ დარბაზში უნდა გამოეთხოვოს საბჭოთა
ხალხი თავის გენიალურ ბელადს, მეგობარსა და
ბრძენ მასწავლებელს, საბჭოთა კავშირის მინის-
ტრია და სტალინ თამჯადომარეს, საბჭოთა კავშირის
კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
მდივანს, გენერალისიმუსს — ამხანაგ იოსებ ბესა-
რიონის-ძე სტალინს.

დარბაზის შუაგულ ადგილას გვირგვინებითა
და ცოცხალი ყვავილებით მოართულ მაღალ კვარ-
ცხლებეზე, წითელ აბრეშუმგადაკრულ კუბოში
განისვენებს ჩვენი დროის უდიდესი ადამიანი,
რომელსაც თითქმის სამოცი წლის განმავლობაში
მოუღლეულად ეჭირა ხელში ხალხთა თავისუფლე-
ბის დიადი დროშა.

სიკვილის ვერ შეუცვლია ყველასათვის საყვა-
რელი, ნაცნობი სახის ნაკეთები. მოჩანს გაფთხრე-
ბული სახე, ჭალარით მოსილი თმები და უღვაშე-
ბი, სიკვილის სამუდამოდ დაუხუტავს მისი თვა-
ლები — თვალბი, რომლებიც ასე შორს, შორს
იხედებოდნენ... უძრავად განისვენებენ ბელადის
მშლავრი ხელები — ხელები, რომლებსაც კაცო-
ბრიობის ისტორიის საკის მართვის დროს კან-
კალი არასოდეს განუცვლიათ.

აღარ სცემს გული, დიდი გული, რომლის
მძლავრ მოძრაობასაც უსმენდნენ კაცობრიობის
მშრომელი მილიონები ჩვენს დიად სამშობლოში
და მთელს მსოფლიოში.

ისმის სევდიანი მელიოდის ხმები.

მოდიან, განუწყვეტელ ცოცხალ ნაკადად მო-
დიან ადამიანები. მღუმარედ მიდიან ისინი ბელა-
დის კუბოსთან და, გრძნობენ რა დიდ დანაკლისს,
გულში იმეორებენ ლენინს — სტალინის დროშისადმი
ერთგულების ფიცს.

მოდიან კაცები, ქალები, მოხუცები, ახალგაზ-
რდები. მათი ზაგებები გამოუთქმელ სევდას შეუკ-
რავს, მათი თვალბი შეუკავებელი ცრემლით ავსე-
ბულია.

მოდიან რუსები, უკრაინელები, ბელორუსები,
ქართველები, სომხები... მოდიან ჩვენი მრავალ-
ეროვანი ქვეყნის საუკეთესო შვილები, რათა გამო-
ხატონ თავიანთი მწუხარება, ერთგულება და სიყ-
ვარული განისვენებულ ბელადისადმი.

აი, დარბაზში უზარმაზარი გვირგვინები შე-
მოიტანეს მოსკოვის მეტროპოლიტენისა და მოს-
კოვის უნივერსიტეტის მშენებელთა დელეგაციებ-
მა. მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია შემო-
აქვს საბჭოთა კავშირის მეცნიერთა გვირგვინი,
რათა შეამკოს მეცნიერების უდიდესი კორიფესს —
სტალინის კუბო.

დარბაზში მოვიდნენ საბჭოთა უზბეკეთის წარ-
მომადგენელი, რათა ცხადყონ უზბეკი ხალხის
უდიდესი სიყვარული ამხანაგ სტალინისადმი, რა-
მელსაც უზბეკეთი უმადლის თავის აყვავებას. დე-
ლეგაციას შემოაქვს რამდენიმე უზარმაზარი
გვირგვინი.

აგერ, დარბაზში შემოაქვთ მათ ძე-დუნის
უზარმაზარი გვირგვინი. ჩინელი მშრომელები დიდ
მწუხარებას გამოთქვამენ ჩინელი ხალხის საუკეთე-
სო მეგობრისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიო-
ნის-ძე სტალინის გარდაცვალების გამო.

კუბოს ამკობენ კორეის სახალხო-დემოკრატი-
ული რესპუბლიკის გვირგვინებით. გვირგვინებზეა
წარწერა:

„ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის დიდ მას-
წავლებელსა და მეგობარს იოსებ ბესარიონის-ძე
სტალინს“.

დარბაზში შემოაქვთ უნგრეთის სახალხო რეს-
პუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, ბულგა-
რეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სა-
ხალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რეს-
პუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლი-
კის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის,
ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, მონღოლ-
ეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობების და
პროგრესული პარტიებისგან მოძღვნილი გვირ-
გვინები.

ეს გვირგვინები გამოხატავენ ამ ქვეყნების
ხალხთა დიდ მადლობას და სიყვარულს ხალხთა
ბელადისადმი, რომელმაც თავისი უჭევადი იდე-
ების შუქს აზიარა კაპიტალისტურ მონობაში
მყოფი ადამიანები.

კუბოსთან არიან დიპლომატიური კორპუსის
წევრები, კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობათა
მოსკოვში აკრედიტებული წარმომადგენლები.

შემოაქვთ არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტის ხუან პერონის, არგენტინის რესპუბლიკის ელჩ ლ. ბრაიას, შვეიცარიის მისიის გვირგვინები.

განუწყვეტლევ გაისმის სეველისამძებრელი, მწუხარე მელიოდები. ყოველ ორ-სამ წუთში საპატრიო ყარაულში ერთმანეთს სცვლიან მოსკოვის პარტული აქტივის წარმომადგენლები, მუშები, კლმეურნი, მეცნიერები, მწერლები, სამინისტროების ხელმძღვანელები, დეპუტატები, საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები, საბჭოთა არმიის მარშლები და გენერლები, სახელმწიფო საზღვაო ფლოტის აღმირალები. სამგლოვიარო ვახტზე არიან საბჭოთა კავშირის სამგზის გმირები, სახელგანთქმული სტალინური შევარდნები პოკრიშკინი და კოჟედუბი, აკადემიკოსები სკობელცინი და ოპარინი, მწერლები ფადეევი და სურკოვი.

... ნაშუადღევს ოთხ საათზე ი. ბ. სტალინის კუბოსთან საპატრიო ყარაულში დგებიან ამხანაგები გ. მ. მაღენკოვი, ლ. პ. ბერია, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კავანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, მ. ზ. საბუროვი, მ. გ. პერეუხინი, ნ. მ. შვერნიკი.

სიამყისა და პატივისცემის გრძნობით შესტკეირიან დარბაზში მყოფი საბჭოთა ადამიანები ბელადის ერთგულ მოწაფეებს, რომლებიც სამგლოვიარო ვახტზე დგანან — შესტკეირიან და მათს თვალბში კითხულობენ რწმენას, რომ ის, რაც დიდმა ბელადმა თავის სიცოცხლეში ვერ მოასწორო, საბჭოთა ხალხის მიერ გაკეთებულ იქნება ბელადის ერთგული თანამებრძოლების ხელმძღვანელობით. არ არსებობს ქვეყანაზე ისეთი ძალა, რომელმაც საბჭოთა ხალხის კომუნისტებისკენ სწრაფდა შეაჩეროს.

კიდევ მოდიან და მოდიან საბჭოთა ადამიანები. იცლებს საპატრიო ყარაული. ახლა მას ეწვიან სახელმწიფო მოღვაწეები, ჰალაროსანი მეცნიერები, ნოვატორი მუშები, სტახანოველები, კოლმეურნიები.

მოდიან დელები ხელში აყვანილი ბავშვებით. მოდიან დიდი ოქტომბრის თანატოლები, მოდის ჩენი რჩეული ახალგაზრდობა, მოდიან ჩენი მშვიდობიანი შრომის დამცველი მომარები.

აი, საპატრიო ყარაულში დგებიან ამხანაგები მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. მიხაილოვი, პ. კ. პონომარენკო, ა. ბ. არისტოვი, ნ. ა. შატალინი, მ. თ. შკირიატოვი, ა. მ. პუშნოვი, ა. გ. ზვერევი.

ქემარტიად უსაზღვროა საბჭოთა ხალხის სიყვარული ამხანაგ სტალინისადმი. საერთო მწუხარებამ

კიდევ უფრო შემკვიდროვა საბჭოთა ადამიანები, კიდევ უფრო შეუსისხლბორცა ისინი პარტიას. პარტიას და ხალხს აქვს ერთი მიზანი — ლენინ — სტალინის იდეების საბოლოო გამარჯვება.

გაისმის სამგლოვიარო მელიოდები.

დიდა და ნაკლისი, მაგრამ უკვდავი დიდი სტალინის სახელი, უკვდავი მისი საქმე. საბჭოთა პარტიოტების გულში ქლერს პარტიისა და მთავრობის მიმართვის სიტყვები:

„სტალინის უკვდავი სახელი მუდამ იცოცხლებს საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში“.

გვიანი საღამოა. ხალხი მოდის და მოდის. რიგდან ჩამოვიდა ლატვიელი ხალხის დეღევატია. მთელი ჩენი ქვეყანა ეთხოვება დიდ ბელადს. ამ დარბაზში მყოფი ყველა ადამიანი გრძნობს, რომ საბჭოთა ხალხმა ბელადის სიკვდილი შეიცხადა და არა როგორც მხოლოდ საერთო ნაციონალური, საერთო საკაცობრიო მწუხარება, არამედ როგორც საკუთარი, პირადი მწუხარებაც, როგორც დაკარგვა ყველაზე ძვირფასი და ახლობელი ადამიანისა.

... შუალამეა. კვლავ განუწყვეტლევ ნაკადი მოედინება ხალხი. დარბაზში შემოდის მოლდავეთის დღევატია. შემდეგ შემოდის უკრაინის დღევატია, რომელსაც შემოაქვს ცოცხალი ყვავილების ვეებერთელა გვირგვინი. აღისფერ ლენტს ოქროს ასოებით აწერია: „დიდ სტალინს, უკრაინელი ხალხისაგან“.

საპატრიო ყარაულში კვლავ დგებიან იოსებ ბესარიონის-ქე სტალინის მებრძოლი თანამოსაგრეები და მოწაფეები — ამხანაგები გ. მ. მაღენკოვი, ლ. პ. ბერია, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კავანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, მ. ზ. საბუროვი, მ. გ. პერეუხინი, ნ. მ. შვერნიკი.

ღამის სამი საათი შესრულდა და საბჭოთა ადამიანები კვლავ და კვლავ მიდიან იოსებ ბესარიონის-ქე სტალინის კუბოს წინ.

* * *

შესამე დღეა, რაც დღისითაც და ღამითაც მოედინება ხალხის ნაკადი კავშირთა სახლის სვეტებიანი დარბაზისკენ.

ყოველ ნაბიჯზე, ყოველ წუთს, დაფიქრებით, მწუხარედ მიმავალ ადამიანთა რიგებში გაიგონებთ ასეთ ლამაზსაქ:

— ეჰ, შესაძლებელი რომ ყოფილიყო მისი ცხოვრების გაგრძელება, არც დავფიქრებოდი, ისე მივცემდი ჩემს სიცოცხლეს!



კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში 1953 წლის 6 მარტს. პარტიისა და

— განა მარტო თქვენ? მილიონები, მილიონები მისცემდნენ თავის სიცოცხლეს!

რიგებში ხელიდან ხელში გადადის სამგლოვიარო არშიაშემოვლებული დღევანდელი გაზეთები. ისმის წამოძახილები:

— ლენინმა პარტიის დროშა სტალინს ჩააბარა, სტალინმა — თავის ერთგულ მოწაფეებს!

— ყველა მისი თანამებრძოლი ლენინის ტიპის, სტალინური სკოლის მოღვაწეა!

ზღვა ხალხი მოდის ბელადის კუბოსთან. არა მარტო მოსკოველები, არამედ მთელი საბჭოთა სამშობლო, მისი ყველა მხარის, ოლქისა და რესპუბლიკის წარმომადგენლები მოსულან, რათა უკანასკნელი ვალი მოიხადონ და უკანასკნელად პატივი სცენ ხალხის ბედნიერების შემოქმედს. ყოველ დღეღვაციას მოაქვს გვირგვინი. უკვე უთვა-

ლავი გვირგვინია. მათ ვერ იტყვს არა თუ სვეტიანი დარბაზი, არამედ კავშირთა სახლის ყველა შენობა. ახლა გვირგვინები დაწყობილია მინისტრთა საბჭოს სახლის გასწვრივაც თვით გორკის ქუჩამდე. გვირგვინები შემოვლებული აქვს ისტორიის მუზეუმის შენობას.

ბელადის კუბოსთან დამდგარ ყვავილების ზღვას დღეს ერთი ძვირფასი წვეთიც მიემატა.

ხალხის ნაკადს დარბაზში პატარა, სამი წლის ბიჭუნა შემოჰყვია. მას აკანკალებული ხელი მამისთვის ჩაეკიდნა — მეორე ხელში წითელი გერანის ყვავილი ეკირა. ეს ერთადერთი ყვავილი მან ალბათ თავისი ოთახის ფანჯარაში გამოზარდა. კუბოს რომ გაუსწორდა, ბიჭუნამ მამას შეხედა. მისი თვალები კითხვას გამოხატავდა. შემდგომ იგი გამოეყო ხალხის საერთო ნაკადს, მიუახლოვდა



მთავრობის ხელმძღვანელები ამხანაგ ი. ბ. სტალინის კუბოსთან.

სტალინის კუბოს და თავისი ყვავილი გვირგვინებთან დაღო.

და, აი ახლა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდი გვირგვინების გვირგვინით დევს ეს პატარა, ძვირფასი ძღვენი ბავშვის უმანკო გულსა.

მესამე დღის დამდეგს ბელადის კუბოსთან საპატიო ვახტზე ღვანან უკრაინელი ხალხის წარმომადგენელი. საბჭოთა უკრაინის ხალხი უკანასკნელ ვალს იხდის იმ აღამიანის წინაშე, ვისაც იგი უნდა უმადლოდეს თავის ბედნიერებას, თავის აყვავებას.

აგერ, ახალგაზრდა დედის ხელში აყვანილი ხუჭუჭამიანი გოგონა მოჰყავს. კუბოს სიახლოვეს იგი მაღლა სწევს ბავშვს, ნაბიჯს ანულებს, მას

სურს ბავშვის ხსოვნაში სამუდამოდ აღიბეჭდოს სტალინის საყვარელი სახე.

ასევე, სწორედ ასევე, ყველანი კუბოს სიახლოვეს ნაბიჯს ანულებენ, შემდეგ უკან-უკან იხედებიან. თვალს ვერ აშორებენ ბელადის სახეს.

კუბოს წინ მიდიან სტალინგრაძელები. იმ ქალაქის წარმომადგენლები, სადაც ლეგენდარული ბრძოლის შემდეგ დაიწყო გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენება. ისინი მოვიდნენ იმის სათქმელად, რომ სტალინგრაძი იყო, არის [და იქნება კომუნისტების მშენებლობის ერთ-ერთი ბასტიონი.

მოდის დიდი ოქტომბრის აკვნის — ლენინგრაძის მშრომელთა დელეგაცია. მის შემადგენლობაში არიან ოქტომბრის ძღვეამოსილი აჯანყების

ვეტერანები და სამამულო ომის დღეებში ქალაქის დაცვის გმირები. მათ მოაქვთ მრავალი გვირგვინი გმირი ქალაქის მშრომელებისაგან, ქალაქისა, საიდანაც ლენინი და სტალინი ხელმძღვანელობდნენ პარტიას, როცა ოქტომბრის იერიშისათვის ამზადდებდნენ მას.

დაუსრულებლად მოედინება ადაშიანთა ნაკადი. ქედმობდილი, წყნარად, სამგლოვიარო დუმილით მიდინა რუსები და უკრაინელები, ბელორუსები და ქართველები, ყაზახები და აზერბაიჯანელები, ლიტველები და ყირგიზები... საბჭოთა ქვეყნის ყველა სოციალისტური ერის წარმომადგენლები. აი, დარბაზში შემოდინა საქართველოს სსრ, ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის სამშობლოს — ქალაქ გორის დელეგაციები. ცოცხალი ყვავილების, მაგნოლიის, ალისფერი მიხაკის ვეებერთელა გვირგვინების წითელ ლენტებს რუსულ და ქართულ ენაზე აწერია მხურვალედ საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის უკუდავი სახელი.

საპატიო ყარაულში დგანან სახელგანთქმული სტალინური მხედართმთავრები, საბჭოთა კავშირის მარშლები ა. მ. ვასილევსკი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ა. გოვოროვი, ი. ს. კონევი, ს. მ. ბუდიონი, კ. ა. მერტკოვი, ე. დ. სოკოლოვსკი, რ. ი. მალინოვსკი. მათ ცვლიან ბავშვები — მოსკოველი ნორჩი პიონერები. მათ შორის არის პატარა მოსწავლე ირა მელნიკოვა, რომელმაც ორი წლის წინათ საპირველმისო პარადზე ყვავილები მიართვა ამხანაგ სტალინს.

დიდ ბელადს მამობრივი სინაზით უყვარდა ბავშვები, ზრუნავდა მათი ბედნიერებისათვის. ბავშვებმა ჩაიარეს კუბოს წინ პიონერული სალუტით. ისინი ცოცხალ ყვავილებს აწყობენ კუბოსთან.

ამ დარბაზში მყოფთ უნებურად ახსენდებათ ერთი ბედნიერი მაისის დღე...

გაზაფხულია. ქარი ალისფერ დროშებს არხევს. წითელი მოედნის ტრიბუნაზე დგას ღრმა ფიქრებში წასული სტალინი. მის დიდებულ სახეს მშვიდი ღიმილი ამშვენებს.

— სტალინი! სტალინი! — შესძახიან ადამიანები. აი, ტრიბუნაზე პატარა გოგონა ადის. მას მღელვარედ უცემს გული. სიყვარულით უწვდის ძია სტალინის ყვავილებს.

— ბავშვებმა მოგიძღვნეს, — ამბობს იგი. გოგონა სტალინის მძლავრ, მამობრივ მხარს ეკვრის, საყვარელ თვალებში ჩასცქერის. სტალინი გულში იკრავს მას.

ახლა კი...

აგერ, ბელადის კუბოს პატარა გოგონა უახლოვ-

დება. მას ბაგე უთრთის, თავს იკავებს, რომ მოზღვავებული ცრემლები არ წასკდეს და არ აქვითინდეს. იგი ყვავილებს აწყობს სტალინის კუბოსთან.

— ბავშვებმა მოგიძღვნეს, — ჩაწყვეტილი ხმით ჩურჩულებს იგი და თვალს არ აშორებს საყვარელ სახეს.

უძრავად წევს სტალინი. აღარ გამოიწვდის ხელებს, რომ მაშინდელივით მოეხვიოს გოგონას, სამუდამოდ დაუხუტავს თვალები. მშვიდ ძილს მისცემია.

წყნარად ჩამოდის გოგონა კვარცხლბეკის საფეხურებით. გული ეკუმშება მწუხარებით: სტალინი აღარ არის!

სტალინი ცოცხალია! იგი ცოცხლობს მილიონ ადამიანთა, ბავშვთა გულებში.

„ღვინი — სტალინის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!“ — გაისმის ფიცი ათასობით პიონერულ რაზმებში.

„მზად ვართ!“ — გუგუნებს პასუხი.

... სამგლოვიარო ვახტზე დგებიან ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. მ. კავანოვი, ა. ი. მიქოლაინი.

სამგლოვიარო მსველლობა გრძელდება. ამხანაგ სტალინის კუბოს წინ მიდინა უცხოეთის ქვეყნების ხალხთა წარმომადგენლები.

მიდინა დიდი ჩინელი ხალხის წარმომადგენლები, ხალხისა, რომელიც მტკიცე, ურღვევი მეგობრობით არის დაკავშირებული დიდ საბჭოთა ხალხთან. მიდიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, ინგლისის, თურქეთის, ირანის, საბერძნეთის, ინდოეთის, ავსტრიის, სირიისა და ლიბანის, ინდონეზიის, მალაის, პაკისტანის, ურუგვაის, კოლუმბიის, იაპონიის, ფინეთის კომპარტიების წარმომადგენლები.

კუბოსთან მიტანილ ერთ-ერთ გვირგვინს ჩინურ და რუსულ ენაზე აწერია: „სამარადისო დიდება დიდ ამხანაგ სტალინს“. მეორე გვირგვინს: „უსასულეროდ ერთგული და მადლიერი მოწაფის მორის ტორჩისაგან“.

იცვლება საპატიო ყარაული. სამგლოვიარო ვახტზე დგებიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთავრობათა მეთაურები, მათი დელეგაციის წევრები, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწენი.

საპატიო ყარაულში დგანან ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი კლემენტ გოტვალდი,

პოლონეთის სახალხო რეს-
პუბლიკის მინისტრთა საბ-
ჭოს თავმჯდომარე ბოლუ-
სლაე ბერუტი, პოლონეთის
მარშალი რაჟოსოვსკი, ჩი-
ნეთის სახალხო რესპუბლი-
კის ადმინისტრაციული საბ-
ჭოს პრემიერი და საგარეო
საქმეთა მინისტრი ჯოჟ
ენ-ლაი, რუმინეთის სახალ-
ხო რესპუბლიკის მინისტრ-
თა საბჭოს თავმჯდომარე
გეორგე გეორგეიუ-დემი, ბულგარეთის სახალხო რეს-
პუბლიკის მინისტრთა საბ-
ჭოს თავმჯდომარე ვილკო
ჩერევენკოვი, უნგრეთის სა-
ხალხო რესპუბლიკის მინი-
სტრთა საბჭოს თავმჯდომარე
მატიას რაკოში, გერმანის
ერთიანი სოციალისტური
პარტიის გენერალური მდივანი
ვალტერ ულბრიხტი, გერმანიის დემოკრა-



ტიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ოტო გროტტეოლი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლი-
კის პრემიერ-მინისტრი ცედენნალი.

საპატიო სამგლოვიარო ვახტზე ღვებთან იტა-
ლიელი ხალხის ბელადი პალმირო ტოლიატი, ეს-
პანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური
კომიტეტის გენერალური მდივანი დოლორეს იბა-
რური, დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის
გენერალური მდივანი ჰარი პოლიტი, ავსტრიის
კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე კოპლენიგი,
ფინეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე
ვილე პესი, იტალიის სოციალისტური პარტიის
მდივანი პიეტრო ნენი.

შუალაშა, ხალხის ნაკადი არ კლებულობს. ბელა-
დის კუბოსთან სამგლოვიარო ვახტზე ღვებთან შავი
მეტალურგის მინისტრი აშხ. თევისიანი, ქვანახ-
შირის მრეწველობის მინისტრი აშხ. ზასიადკო,
გზათა მინისტრი აშხ. ბეშიევი, მწერლები ფეიზი,
შოთოხოვი, მიხალკოვი, ტახონოვი, ლ. ლეონოვი,
ფ. გლადკოვი, ვირტა, ვერშიგორა; სსრ კავშირის
სახალხო არტისტები: კოზლოვსკი, რაიზენი; საგა-
რეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ვ. კუზნე-
ცოვი, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენ-
ტრალური საბჭოს მდივანი შევჩენკო, იოსებ
ბესარიონის-ძე სტალინის ნათესავეები და ახლობ-
ლები.

დარბაზში შემოდინ ახალ-ახალი დელეგაციე-
ბი. შემოაქვთ გეორგინები იტალიის კომპარტიისა
და იტალიის სოციალისტური პარტიისაგან, იტა-
ლიის ქალთა კავშირისაგან...

ღამის 2 საათია. საპატიო ყარაულში ღვებთან
ამხანაგები გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, ვ. მ.
მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი,
ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კავანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი,
მ. ზ. საბუროვი, მ. გ. პერეუხინი.

საპატიო ყარაულში ღვებთან ამხანაგები ნ. მ.
შვერნიკი, მ. ა. სუსლოვი, პ. კ. პონომარენკო, ნ. ა.
მიხაილოვი, ა. ა. ანდრეევი, ა. მ. ვასილევსკი,
გ. კ. ეჟუკოვი.

2 საათი და 30 წუთია. კავშირთა სახლის სვე-
ტებიან დარბაზში შესვლა წყდება.

* * *

სამი დღე განუწყვეტლივ მოედინებოდა და
მოედინებოდა სახალხო სიყვარულისა და მწუხარე-
ბის ცოცხალი მდინარე სვეტებიანი დარბაზისაგან.
მრავალი ათასი მოსკოველი შეხვდა 9 მარტის
ციე, სუსნიან განთიადს ქუჩებში, რემბოლუქტო-
რების ირგვლივ სულგანაბული.

ასეულ ათასობით აღამიანმა ჩაუარა ბელადის
კუბოს ამ სამი დღელამის განმავლობაში და ფიცს
დებდა, რამ ერთობლივ იქნება ლენინ-სტალინის
წმიდა დროშისა.

მთელი წლითაც რომ გავრძელებულიყო ეს დიდი გამოთხოვება, ხალხის ცოცხალი მდინარე მინც არ დაშრებოდა, ისე, როგორც არ შეწყვეტილა ამ ოცდაცხრა წლის განმავლობაში ის ნაკადი, რომელიც ყოველდღიურად დიდი ლენინის მაგზოლუქვისკენ მიემართება.

9 მარტის დილა. გამოთხოვების უკანასკნელი საათები... გაისმის სამგლოვიარო მელოდები. ბელადის კუბოსთან რჩებიან მისი ნათესავები და მახლობლები, დედაქალაქის პარტიული და საბჭოთა აქტივი, მინისტრები, უცხოეთის მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელები. დარბაზში იმყოფებიან უცხოეთის მთავრობათა დელეგაციები, საელჩოებისა და მისიების მეთაურები. ყოველ ორ-სამ წუთს იცვლება საპატიო ყარაული.

დილის ათი საათია. კუბოსთან დგებიან დიდი სტალინის ერთგული მოწოდებები და თანამებრძოლები — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები. ბელადთან გამოთხოვების უკანასკნელი წუთებია.

10 საათსა და 5 წუთზე ამხანაგები გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კავაჯიოვიჩი, ა. ი. ნიქოიანი ფრთხილად იღებენ კუბოს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ცხედრით და ნელა მიემართებიან გასასვლელისაკენ.

კავშირთა სახლდან გამოაქვთ გვირგვინები. საბჭოთა კავშირის მარშლებს, გენერლებს მოაქვთ ალისფერი ატლასის ბალიშები, რომლებზეც არის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ორდენები და მედლები.

ოხოტნი რიადისა და მანეისი მოედნის გაყოლებით ჩამწყვიტებულია სამხედრო ესკორტი.

კუბოს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ცხედრით დგამენ საარტლერიო ლაფეტზე. კუბოს ხუფზე საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის ქუდი.

კუბოს მიჰყვებიან განსვენებულის ოჯახის წევრები, ბელადის უახლოესი თანამებრძოლები, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, საბჭოთა არმიის მარშლები და გენერლები, დაკრძალვაზე ჩამოსული უცხო სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები და უცხო ქვეყნების სხვა წარმომადგენლები.

სამგლოვიარო მარშის ხმებში სამგლოვიარო კოლონა ნელა მიემართება წითელი მოედნისაკენ. მღვმარედ ჩამწყვიტებულან მოსკოვის გარნიზონის ჯარების ნაწილები.

10 საათი და 45 წუთია.

სამგლოვიარო კორტეჟი გაჩერდა მაგზოლუქვთან. იხრება საბრძოლო დროშები.

კუბო ვაღნაოაქვთ ქვემეხის ლაფეტიდან და დგამენ მაღალ კვარცხლბეკზე, რომელსაც შემოვლებული აქვს წითელი და შავი ქსოვილები.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, უცხო სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები, ვაგონებზე დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, უცხოეთის მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელები აღიან მაგზოლუქვის ტრიბუნაზე.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ აქ, ამ ტრიბუნაზე მდგარი ამხანაგი სტალინი მამობრივად უდიდოდა და ხელს აღერსიანად უქნევდა ტრიბუნის წინ მზიარულად მომავალ დემონსტრანტებს.

ამ ტრიბუნიდან ჩვენი სახელმწიფოსთვის უძნელეს დღეებში, როცა მოსკოვის მახლობლად წყდებოდა ჩვენი სამშობლოს წერი, დიდმა სტალინმა 1941 წლის 7 ნოემბერს წარმოთქვა გამარჯვების რწმენით აღსავსე ისტორიული სიტყვა.

აქ, მაგზოლუქვის ტრიბუნაზე იდგა იგი გამარჯვების დღესაც, როცა საბჭოთა ჯარისკაცები მის წინ განადგურებული ჰიტლერული არმიის დროშებს ანარცხებდნენ.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვის მოწიწი კომისიის თავმჯდომარე ანხ. ნ. ს. ხრუშჩოვი სიტყვის აძლევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ გიორგი მაქსიმოლიანეს-ძე მალენკოვს.

განსაკუთრებული ძალით ეღერს დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლისა და მოწაფის სიტყვა:

„ძვირფასო თანამემამულენო, ამხანაგებო, მეგობრობო!

ძვირფასო საზღვარგარეთელო ძმებო!

ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა, მთელმა კაცობრიობამ უმძიმესი, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადეს. დაასრულა თავისი სახელოვანი ცხოვრების გზა ჩვენმა მასწავლებელმა და ბელადმა, კაცობრიობის უდიდესმა გენიოსმა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა.

ამ მძიმე დღეებში საბჭოთა ხალხის დიდ მწუხარებას იზიარებს მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობა. სტალინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია საბჭოთა ადამიანებისათვის, დედამიწის ძვირადღეობადი ხალხთა უფართოესი მასებისათვის. განუზომელია ამხანაგ სტალინის მიღვაწეობის სიდიადე და მნიშვნელობა საბჭოთა ხალხისათვის და ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის.



პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს გამოაქვთ კუბო იოსებ ბესარიონის-ქ
ს ტ ა ლ ი ნ ი ს ცხედრით კავშირების სახლიდან.

სტალინის საქმეები იცოცხლებენ საუკუნეებში, და მადლიერი შთამომავალი ისევე, როგორც ჩვენ თქვენთან ერთად, დიდებით მოიხსენიებენ სტალინის სახელს.“

ამხანაგი გ. მ. მალენკოვი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ამხანაგმა სტალინმა დიდ ლენინთან ერთად ახალ ისტორიულ პირობებში შემოქმედებითად განავითარა მარქს-ენგელსის მოძღვრება, დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე გაათავისუფლა ხალხები კაპიტალისტური ჩაჯვრისაგან, ლენინთან ერთად უძნელეს ისტორიულ პირობებში შექმნა პირველი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, შექმნა ძღვევამოსილი წითელი არმია, გადასჭრა ეროვნული საკითხი და საბჭოთა ხალხი დააყენა კომუნისმის მშენებლობის გზაზე.

„ჩვენი წმიდა მოვალეობა ის არის, რომ

უზრუნველყოთ საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცება, საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს განმტკიცება. ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის პირობებში ჩვენთვის საშიში არ არის არც შინაური, არც გარეშე მტერი.“

მართალია, აღარ არის დიდი სტალინი, მაგრამ უძღვევლია მის მიერ შექმნილი სახელმწიფო, უძღვევლია კომუნისმის მშენებელი ხალხი. „ის, რომ ჩვენთან აღარ არის ჩვენი ბელადი და მასწავლებელი დიდი სტალინი, ყველა საბჭოთა ადამიანს აკასრებს მოვალეობას ამრავლონ თავიანთი ღონისძიებანი საბჭოთა ხალხის წინაშე მდგომი გრანდიოზული ამოცანების განხორციელებაში, ზარღონ თავიანთი წვლილი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის, ჩვენი სოციალისტური

სამშობლოს ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საერთო საქმეში.⁴

მართალია, ის ჩვენი ალარ არის, მაგრამ მსოფლიოში არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს საბჭოთა საზოგადოების წინსვლა კომუნისმისაკენ!⁵

სტალინის დიდი საქმის, მისი უკვდავი იდეების გამარჯვების რწმენით არის აღსავსე დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლისა და მოწაფის ლავრენტ ბავლეს-ძე ბერიას სიტყვა:

„ვინც ბრმა არ არის, ხედავს, რომ ჩვენი პარტია ამ მძიმე დღეებში კიდევ უფრო მჭიდროდ ირახმება, რომ იგი ერთიანი და ურყევია.“

ვინც ბრმა არ არის, ხედავს, რომ ამ გლოვის დღეებში საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, დიდ რუს ხალხთან ძმური ერთიანობით კიდევ უფრო მჭიდროდ დიარაზმა საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო.⁶

უძლეველია ჩვენი ქვეყანა, რომელიც წინ მიდის ლენინ—სტალინის ნაჩვენები გზით და რომელსაც იცავს ჩვენი გმირი საბჭოთა არმია.

„ჩვენი ჯარისკაცები და მატროსები, ოფიცრები და გენერლები, დიდი სამამულო ომის გამოცდილებით აღუჭურვილი, შეძლებენ სათანადოდ დახვედნენ ყოველ აგრესორს, რომელიც გაბედავს თავს დაესხას ჩვენს ქვეყანას.“

სტალინის ერთგული თანამებრძოლი და მოწაფე ვ. მ. მოლოტოვი ლაპარაკობს იმ დიდ განსაკუთრებულ როლზე, რომელიც ამხანაგმა სტალინმა შეასრულა, როგორც მუშათა მოძრაობის ისტორიაში, ისე ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისმის მშენებლობის საქმეში.

დიდა, განუზომელია დანაკლისი, მაგრამ „ჩვენი პარტია, ასრულებს რა დიდი სტალინის ანდერძს, ვეძლევის ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის აშენების დიდი საქმისათვის შემდგომი ბრძოლის ნათელ მიმართულებას. ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ, კიდევ უფრო მტკიცედ უნდა დავიარაზოთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო.“

სამარადისო და უკვდავია ის იდეები, რომელსაც ამხანაგი სტალინი ქადაგებდა.

„სტალინის უკვდავი სახელი მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში, საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში. ჩვენი ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა საკეთილდღეოდ

და სახედნეოდ მის მიერ განხორციელებულ დიდ საქმეთა დიდება საუქუნეებში იცოცხლებს!⁷
11 საათი და 54 წუთი.“

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი დახურულად აცხადებს სამგლოვიარო მიტინგს, მიძღვნილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სხვისადმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, უცხოეთის მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელები ჩამოდიან მაგზოლემუის ტრიბუნადაც. ამხანაგები გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კავანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი იღებენ კუბოს და ნულა მიაქვთ იგი მაგზოლემუში, რომლის შესავლის თავზე წარწერილია ორი უსახელოდ ძვირფასი უკვდავი სახელი:

ლ ე ნ ი ნ ი
ს ტ ა ლ ი ნ ი

გრილებს საარტილერიო სალუტის ოცდაათი ზალპი... კრემლის მაცხოვრის კოშკზე საათმა თორმეტი დარეკა. მოსკოვში და მთელ საბჭოთა ქვეყანაში სამ წუთს განუწყვეტილ გუგუნებზე ფარეკების, ქარხნების, ორიქლმავლების, გემების საყვირები... სამშობლო სალუტს აძლევს ხალხთა დიდ მამასა და მასწავლებელს. ყველგან, ბალტიკის ნაპირებიდან კუროლის კუნძულებამდე, მთელ საბჭოთა მიწა-წყალზე, ხუთი წუთით შეწყვიტა მუშაობა ყველა საწარმო. შეწყდა მატარებლების მოძრაობა, გაჩერდა გემები, ავტომობილები... ჩვენი ქვეყანა ღრმად გლოვობს დიდ დანაკლისს. მაგრამ სტალინის სახელი, სტალინის საქმე უკვდავია. სტალინი მარად იცოცხლებს ხალხის გულში, კომუნისმის ასაშენებლად განხორციელებულ მის საქმეებში.

სამგლოვიარო მელიოდის ცვლის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის დიდებული საზეიმო ჰანგები.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები კვლავ ადიან მაგზოლემუის ტრიბუნაზე. მაგზოლემუს მტკიცე ნაბიჯით ჩაუარეს ჯარებმა, მალა კანს მწყობრად მოფრინავენ თვითმფრინავები, უკანასკნელს სამხედრო პარტის აძლევენ დიდ ბეღადსა და მხედართმთავარს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

დიდი სვალისი უკვლავია

ის აქ არის, არ მოგვხვდა

მოიღრუბლა ჩვენთვის ზეცა
გაზაფხულის პირველ დღესვე.
შესცივდაო თითქო მზესაც,
აღარ ბრწყინავს ჩვეულ წესზე.

ეს რა მარტი გაგვიტენდა,
რა შავი ფრთა მოგვანახალა!
წინათ ყვავილს დაგვიფენდა,
წელს კი ცრემლი მოგვაყარა.

ხმა ჩაესმათ ბეშეებს დილით
ელდასავით ამაზრზენი.
როგორ ჩაწვა გულში ჩრდილი, —
ვერ იტყვიან ამას ენით.

— ჩვენ ვუყვარდით ძია სტალინს,
ჩვენც გვიყვარდა მთელი გულით,
მუდამ მისკენ გვექონდა თვალი
სიყვარულით ანთებული.

ო, ბეშეებო, ნუღარ სტირით,
თქვენც სიმტკიცე გმართებთ ახლა.
შეიმშრალეთ თვალზე ცრემლი
და ასწიეთ თავი მაღლა!

მიმოაღლეთ ირგვლივ თვალი,
დააკვირდით, ღამით, დღისით
ყველგან მოჩანს მისი კვალი,
ყველგან ბრწყინავს საქმე მისი.

ის აქ არის, არ მოგვედარა,
ხალხის გულში გადავიდა.
წყარო მოჩქეფს თევანკარა
მისი სიბრძნის სათავიდან.

სწავლისა და შრომის ცვლაში
დაეწაფეთ თქვენ იმ წყაროს,
რომ სამშობლომ მომავალში
უფრო მეტად გაიხაროს.

ალექსანდრა აბაშელი

ვინ დაიჯეროს

ამ სისხამ დილით
მწუნს ვინ ელოდა?
ეს რა დუმილმა მოიცვა ბავე?
გარდაიცვალა დიდი ბელადი, —
ჩვენი იმედი და მოამაგე.

ვინ დაიჯეროს,
ვინ დაიჯეროს,
ვინ დაიჯეროს სიკვდილი მისი,

ვინც დედამიწის ყველა მშრომელი
დარაზმა ერთი საბრძოლო ფიცით.

სტალინი
იყო, არის, იქნება —
ყველგან, ყოველ დროს,
მარად და მარად,
მთელი მსოფლიოს საბუნდოეოდ,
მთელი მსოფლიოს გულგასახარად!
ა. ონალი

პიონერული ფიცი

სტალინის დიდ დროშას მეც ვფიცავ,
ბელადო, დიდება შენს სახელს!
შვილი ვარ გმირების ქვეყნისა,
ვატარებ ალისფერ ყელსასვევს.

სამშობლოს დამცველად ვიზრდები,
ვერ გვაკრთობს მუქარა ურდოთა...
ფიცსა ვდებ:
ვიქნები ისეთი,
საყვარელ სტალინს რომ უნდოდა!

ოთარ კვიციანი



იოსებ ბესარიონის ძე სტალინი მავზოლეუმის ტრიბუნაზე 1952 წლის საპირველმართო დემონსტრაციის დღეს.

დიდი სვალინი უკვლავია

სვალინს უკვლავყოფს პარგია ჩვინი

ეს რა მწუხარე დაგვიდგა წელი,
მოსკოვო,
რიგავ,
თბილისო,
გორო!
წარმოიდგინეთ!
სად ჩვენ, სად — ცრემლი,
სტალინს უნდოდა გვეცინა მხოლოდ!

მე ეს სიცოცხლე ეხოდენ ტკბილი,
ეს ხმა,
ეს გული, — სტალინმა მომცა,

სტალინს არ სურდა მეტირა,
ვტირი! —
სხვა რა ვქნა, —
იგი აღარ გვეყავს როცა?!
სხვა რა ვქნა...
მაგრამ იცოდეს მტერმა,
ეს ცრემლი არის
მრისხანე ცრემლი!
იცოდეს:
რწმენა არასდროს კვდება!
სტალინს უყვდავეყოფს პარგია ჩვენი!

მუსხრან პაჭავარიანი

შენს სახელს ვუიხავთ

ჩვენო მშობელო, ფიქრებს გავყვები,
შენი სიკვდილი როგორ დავწერო...
შენ სათითაოდ ჩვენი აკვნების
აღერსიანი ხელით დამარწევო.
შენი სახელი აკვნიდან მოგვდევს,
ჩვენს სასთუმალთან ღამის მთევველი,
სახელი მტკიცე და მარტოოდენ
ქვეყნად მშვიდობის დამფუძნებელი.
მწუსრის საყვირთა ხმამ მოგუგუნემ
გულები დაგვწვა და დაგვადონა:
რა გულუბრყვილოდ ვფიქრობდით თურმე —
თუ მოკვდებოდი არც კი გვეგონა.
მამული შენი სიბრძნით ჰყვალდა,
აღაღანებულ ველზე ვმღეროდით.
მოსკოვისაკენ მოგვიხაროდა —
სიცოცხლე კრემლში გვეგულდებოდი.

პარადს მართავდი, ბრძნული ღიმილი
წითელ მოედანს ბევრჯერ უგრძენია.
იქ შენი ხილვა დეღვით, ყუიინთ
ვაი, ბევრ ჩვენგანს ვერ მოუსწრია.
მამავ, მშობელო, ფიქრებს გავყვები,
შენი სიკვდილი როგორ დავწერო...
შენ სათითაოდ ჩვენი აკვნების
აღერსიანი ხელით დამარწევო.
ვფიცავთ შენს ამაგს მხარგაშლილები,
სამაგალითო უფრო გავსდებით
ჩვენ, შენი ზრუნვით გამოზრდილები —
საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდები.
შენს სახელს ვფიცავთ — დიადს ყველაზე,
რაც დასაფიცად გვქონდა თავიდან,
რომ კომუნისმის მაღალ მწვერვალზე
შენს მიერ გაშლილ დროშას ავიტანთ.

ზურაბ ლორთქიფანიძე

მეოპლიურ კომუნისგურ პარგიას

სინათლის დედავ, სიკეთის დედავ,
შენ შეგვასწავლე ჰერში გაძლება.
ჩვენ მხოლოდ წუთით შეგვაკრთო ელდამ,
მთელი ხმელეთის დაბარბაცებამ.

და გეფიცებით, პარტავ დიდო,
შთაგონებულნი მაღალ აზრებით,
რომ უფრო მედგრად, რომ უფრო მკიდროდ
ჩვენ შენს გარშემო დავიარაზებთ.

შევედულებით ერთმანეთს ისე,
როგორც ვარვარა ლითონი ლითონს;
ნათელი რწმენა და სული მტკიცე
შენ შთაგვინერგე, პარტავ დიდო.

გავყვებით მის გზას — გაკაფულს მზისკენ,
გავყვებით სულ წინ, ამაყად, მხნედ,
ჩვენი შუქურა კრემლია ისევე
და კრემლში მამაც არწივებს ვხედავთ.


სიმონ შაფარიანი



ჩვენს ბესარიონის-ქე სტალინის დაკრძალვა 1953 წ. 9 მარტს. მავზოლეუმის ტრიბუნაზე —
პარტიების ხელმძღვანელები და უცხოეთის მთავრობათა დელეგაციების წევრები. მარცხნიდან მარჯვნივ:
უკ დიუკლო, დოლორეს იზარური, პაკ დენ აი, ვილკო ჩერვენკოვი, მათიას რაკოში, პალმირო ტოლიათი,
დ. პ. ბერია, ჯოზე ენ-ლაი, ლ. შ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, მ. ზ. საბუროვი, მ. გ. პერვუხინი, ნ. შ. შვე
კ. ნ. პოსპელ



6604



კავშირის კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, საზღვარგარეთის მოქმე კომუნისტური და მუშათა
გროზა, გ. გეორგიუ-ღევი, ბოლესლავ ბერუტი, ვალტერ ულბრისტი, ოტო გროტევილი, ი. ცედეზალი,
ენტ გოტვალდი, ნ. ა. ბულგანინი, გ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, გ. მ. მადენკოვი, ნ. ს. სრუშჩოვი,
მ. ა. სუსლოვი, პ. კ. პონომარენკო, ლ. გ. მელნიკოვი, მ. ჯ. ზაგიროვი, მ. თ. შკირიატოვი, ნ. ა. მიხაილოვი,
ა. ა. ანდრეევი,



ბელადის სახლი ძაძებში

ყურში ჯერ კიდევ ყრულ გუგუნებს შორეული სამგლოვიარო ზალღების ხმა. ეს იყო 1924 წელი. პროვინციული ქალაქის მოსწავლეთა რიგებში მდებარე, თოვლით დაფარულ ბაღში ვისმენდი ორატორთა მწუხარე სიტყვებს:

— „ამხანაგებო, დღეს ჩვენი ახალი ქვეყანა ემშვიდობება დიდ ბელადს, წინამძღოლს და მასწავლებელს ვლადიმერ ილიას-მე ლენინს“.

თითქმის ოკდაათი წელი გავიდა მას შემდეგ. მე აღარ მეგონა თუ ჩემი ცხოვრების მანძილზე კიდევ გავხვდებოდი მოწმე ამგვარი დიდი უბედურებისა.

6 მარტს ნაშუალამიევის ხუთ საათზე ტრეფოვის გაბმულმა ზარმა გამაღვიძა. რეკდა მოსკოვი. ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთის რედაქცია მთხოვდა სასწრაფოდ გამეგზავნებოდა გორში, ამწუხარ მათთვის გორი, ბელადის სამშობლო ქალაქი, 6 მარტს დილით.

მე მივხვდი, რომ უბედურება უკვე თავს დაგეტეხოდა.

თავზარდამცემი ამბისაგან გონს მოსული თითქმის ჯერ არც ვიყავი, რომ მანქანა უკვე გორში შეიჭრა.

გორი... უძილო, მშფოთვარე ღამის შემდეგ გორის მცხოვრებნი ჩუმი ნაბიჯით გამოდიან ქუჩებში. ისინი იკრიბებიან ხმაბალა მოლაპარაკე რადიოს ბოქებთან.

ბელადის სახლი ძველებური სიდიადით დგას და, თითქოს ჯერ არაფერი გაუგიაო, მშვიდად ხვდება ადრინაი გაზაფხულის დილას, რომელიც ნელნელა ეშუება ისტორიულ ქალაქში მახლობელ თოვლიან მთებთან.

მე ერთი პირველთაგანი მოვედი აქ, ვდგავარ ბელადის ავეანთან და ვერ გამიმხვლია მისთვის დღევანდელი დიდი უბედურების ამბავი.

ქალაქში კი უკვე რადიო ნაღვლიანად, დაბალი ხმით ვადმოსცემს თავზარდამცემ ცნობას:

„ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უდიდესი მწუხარების გრძნობით აუწყებენ პარტიას და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს, რომ 5 მარტს საღამოს 9 საათსა და 50 წუთზე მიძიე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავ-

მჯდომარე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იოსებ ბესარიონის-მე სტალინი...“

ბელადის სახლს ნელნელა უახლოვდებიან ტირილისაგან უკვე თვალბეაწითლებული მოხუცები. გაისმის ქალების ჩუმი ქვითინი...

დღეს ჩვეულებრივზე ადრე გაიღო სახლ-მუზეუმის კარები. სახლში პირველმა შესდგა ფეხი ახალგაზრდა ლეიტენანტმა. იგი სულ გაფითრებული მივიდა მაგიდისთან, აიღო კალამი და, თითქმის საღდათ საოკრად დებუშას გზავნისო, შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა:

„დღეს, 1953 წლის 6 მარტს, დილის 6 საათსა და 00 წუთზე გორში, ჩვენი ბელადის სამშობლოში მე გავიგე თავზარდამცემი ამბავი — მთელი ქვეყნის მშრომელი კაცობრიობის ბელადის, საბჭოთა ხალხის მამისა და მასწავლებლის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის, მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების კორიფესა და გენიოსის, ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელის, ჩვენი საყვარელი და ყველაზე უფრო ძვირფასი ადამიანის, — ამხანაგ სტალინის გარდაცვალების ამბავი.“

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე ფიცს ვდებ:

მთელი ჩემი ცხოვრება მოვახზარო საბჭოთა კავშირის ძლიერების განმტკიცების საქმეს!

ფიცს ვდებ: მთელი ჩემი ცხოვრება მოვახზარო კომუნისტური საზოგადოების აწინების საქმეს!

ფიცს ვდებ: მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ვიბრძოლო იმპერიალიზმის კლანჭებისაგან ყველა მშრომლის განთავისუფლებისათვის.

ლეიტენანტი ლუნევი. 6 მარტი. 7 საათი“.

ეს პირველი ჩანაწერია შთაბეჭდილებათა ახალ წიგნში, რომლის გვერდების გადაფურცვლაც დღეიდან იწყება.

აი, ბელადის სახლს უახლოვდებიან მოსწავლეები, გორელი ბავშვები და ახალგაზრდობა. მათს მუდამ მხიარულ, მომღიმარ სახეებზე ღრმა მწუხარება აღბეჭდილა. ფეხაკრეფით, ჩუმიად შედიან სახლ-მუზეუმში, თითქოს აქ ესვენოს საყვარელი ბელადი, მთელი მსოფლიოს მშრომელი ახალგაზ-

ტრობისა და ბავშვების დიდებული მამა, ამხანაგი სტალინი.

მათ გამოეყო სამი მოზრდილი გოგონა. აი, ერთმა მათგანმა მთრთოლვარე ხელით აიღო კალამი და შთაბეჭდილებათა წიგნში ლამაზი, მაგრამ ოდნავ შემკრთალი ასოებით ჩაწერა:

„1953 წ. 6 მარტი. რა გულისტკივილი და მწუხარება მოგვიტანა ამ დღემ. აღარ გვყავს დიდი სტალინი... სულ რამდენიმე დღის წინათ სიხარულით აღსავსენი მოვედით აქ, დიდი ბელადის კერასთან, როცა არჩევნებში ხმა მივეციით ჩვენს მშობლიურ სტალინს, ახლა კი... თვალცრემლიანი შევეურებთ დიდი ბელადის სახლს...“

ფეიცავთ, დიდო სტალინ, შენს უქუქობს სახელს, მტკიცედ ვიდგებით ჩვენი დიადი სამშობლოს სადარჯოზე და თუ საჭირო იქნება, მსხვერპლად მიეტანთ ჩვენს სიცოცხლეს სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ვისწავლით და ვიშრომებთ ისე, როგორც შთაბეჭდილებს თქვენი დაუფიქარი სახელი. სტალინი — ეს სახელი გზის მაჩვენებელ ჩირაღდნად ენთება ჩვენს გულეებში.

გორის ქალთა პირველი საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეები: ზამირა ცინცაძე, თინა გუგუშვილი, ნელი გლურჯაძე.

1953 წლის 6 მარტი, დილის 10 საათი.

აგერ კედელზე ბელადის ყრმობის სურათია. გაბრწყინებული თვალეებით დანცქერის პატარა სოსო წულავილი გორელ ბავშვებს, თითქოს მათ ეგებებოთ, მათთან ერთად უნდა გაინავადოს მშობლიური ქალაქის ქუჩებში, გორის ციხეზე აიჭრეს, მერე გორიჯერის მწვერვალისაკენ შეუდგეს ბილიკს. სამოცდახუთი წლის წინ ისიც ასე წიგნებით ხელში მიეშურებოდა სკოლისაკენ ტოლამხანაგებთან ერთად. აი, ერთმა მისმა ტოლმა აგერ შემოდგა ფეხი სახლ-მუზეუმში. შემოვიდა თეთრი წვერით დაფარული ილია კაპანაძე, გორელი მასწავლებელი.

— არ მეგონა, ვერ წარმომეცინა, რომ სიბერის დღე ასე გამიწარდებოდა. ამ დღლით მეზობლების ტირილმა განაღვძა, მათ გამაგებინეს ეს თავზარდაცემი ამბავი...

ბავშვებმა მოხუც კალამი გადასცეს. კაპანაძე ნელა მივიდა მაგიდასთან, შთაბეჭდილებათა წიგნი გაშალა და ხელის კანკალით ჩაწერა:

„მწუხარ, რომ გონება მეხშობა, კუჭა მიბნელებდა, ენა მიჩლუნვებდა, კალამი არ მემორჩილებდა, რომ ვაღმოვეც გრძნობა, რომელსაც განვიცდი ამ დიდებული ადამიანის დაკარგვის გამო. ეს მწუხარება მით უფრო მითაყველება, რომ მომსწრე ვარ მისი მოღვაწეობის პირველი ნაბიჯებისა.“

ილია კაპანაძე
6 მარტი, 10 საათი.

ილიას უცებ ცრემლები მოაწვა ყელში, თვლებს ცხვირსახოცი შეაშველა, მეტის ვერაფრის დაწერა მოახერხა და ეზოში გავიდა. დიდხანს, დიდხანს იდგა იგი ბელადის სახლის წინ, ღრმა ფიქრებში წასული და თითქოს ვერც ამჩნევდა, როგორ ცვიოდნენ თვალთაგან ცრემლები.

მეც ვიღებ კალამს ხელში, მინდა ყველა ჩემი ამხანაგის, საბჭოთა დიდი ქვეყნის ყველა მეგობარი მწერლის, პოეტის სახელით ჩაეწერო ამ წიგნში გამოუთქმელი მწუხარების სიტყვები, როგორც ფიცო სტალინის დიადი საქმისადმი მარადიული ერთგულებისა, ჩაეწერო რომ... მაგრამ აზრი არ მემორჩილებდა, კალამიც კი ვერ დავიმორჩილე და ჩემთვის სრულიად უჩვეულო, თითქოს სნეული ასოებით ძლივს გამოვიყვანე: „1953 წლის 6 მარტის დილის ათ საათზე აქ დავსტირი ბელადს, მშობლიურ სტალინს, მის სათაყვანო აკვანთან“. თუ ჩემმა გონებამ და კალამმა რაიმე შესძლო, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე იქნებ ვაღმოვეცეც ის, რაც იმ დღლით მსურდა დამეწერა.

გორელმა რომელიღაც მცხოვრებმა შვარშიანი დროშა მოიტანა და სახლის კედელს მიამაჯრა.

პირველად, ბელადის სახლის არსებობის მთელს მანძილზე, ამ კედელს მიამაჯრეს შვარშიანი დროშა. გორელ იმ მოქალაქის მაგალითს სხვებმაც მიჰმაძეს და მალე მთელი სახლი შვარშიანი დროშებში გაიხევა.

შავი ძაძვებით შეიმოსა გორის პატარა სახლი.

ირაკლი აბაშიძე



თბილისის პიონერ-მოსწავლეები ეთხოვებიან ბელადს

გარდაიცვალა დიდი ლენინის თანამებრძოლი, ლენინის საქმის გენიალური განმგებლობი, კომუნისტური პარტიის ბრძენი ბელადი, ბავშვებისათვის უსაზღვროდ მზრუნველი საყვარელი სტალინი.

ალარ გეყავს სტალინი!

გალოგობენ ბავშვები...

ძაძუბითაა შემოსილი თბილისის ყველა სკოლა, ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე.

აქ, ე. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ოთახის საღრმეში მოწყობილია სამგლოვიარო კუთხე. დახრილია დროშები. წითელი და შავი ქრები აქვს შემოვლებული ბელადის პორტრეტს, საიდანაც იგი მისთვის ჩვეული კეთილი გამოუმეტყველებით უზღერს მის საყვარელ ნორჩ თაობას, რომელიც დაუსრულებულ ნაკადად მოედინება აქ.

ღარბაზში ისმის სამგლოვიარო მელოდია. დიქტორი კვლავ იუწყება ამ უმძიმესი მწუხარების შესახებ. სამგლოვიარო ღარბაზში ბელადის პორტრეტთან ერთმანეთს ცვლიან თბილისის სკოლების პიონერები.

საბატიო ყარაულში დგანან სტალინის სახელობის თბილისის ვაგთა I საშუალო სკოლის წარჩინებული პიონერები ვაგ ანანიაშვილი და ზურაბ სიმონიშვილი. განუზოჩელი მწუხარება აღბეჭდილა მათ სახეებზე, თვალს არ აშორებენ საყვარელი აღამიანის პორტრეტს.

ღარბაზში ფეხაკრეფით შემოდან პატარა ბიჭუნები. მათ ხელში უჭირავთ ნორჩი პიონერის საზეიმო დაპირების ტექსტი. ესენი ვაგთა I საშუალო სკოლის მესამეკლასელები არიან. მათ თავიანთი აკადემიური წარმატებითა და სანიშნო დისციპლინით უფლება მოიპოვეს დღეს, ასეთ სამახსოვრო წუთებში გაიკეთონ მეგრულზე წითელი ყელსახვევი და ჩადგნენ პიონერთა რიგებში.

ვაგთა I სკოლის პიონერებს საბატიო ყარაულში ქალთა №12 საშუალო სკოლის პიონერები ცვლიან. ისინი დაღვრებით დაბრუნდნენ შთაწმინდის პანთეონიდან, სადაც გვირგვინებით შეამკეს ამაღლარი დედის ცვატერინე ჯღრაშვილის საფლავი. მათ ცოცხალი ყვავილების თაიგულები დადეს საყვარელი ბელადის პორტრეტთან.

მსოფლიო გლოვობს

საბატო ყარაულში დგებიან ქალთა 1 საშუალო სკოლის მოსწავლეები. მათ ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეები ცვლიან. დიდი ბელადის პორტრეტთან ყოველ ხუთ წუთში იცვლებიან პიონერ-მოსწავლეები.

შეშვიდნენ დილა კვატეგავის სახელობის ქალთა 23-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები. მათ ბელადის პორტრეტთან მოწინააღმდეგეობით დადეს საბანსოვრო, გამოსათხოვარი ალბომი «გლოვის დღეები».

საბატო ყარაულში დგებიან 23-ე საშუალო სკოლის პიონერები დიდი კვატეგავი და იზოლდა ნუციშვილი. იზოლდა გუშინ თავის თანაკლასელებთან ერთად გორში იყო. ბელადის კერა, მშობლიური გორი შუბლშეკრული და ძაძუში გახვეული რომ დანიანა, ბული დეაქვა გოგონას. მან ბელადის კერასთან გახარული სამგლოვიარო მიტინგზე საკუთარი ლექსით წაიკითხა.

საბატო ყარაულში ვაჟთა მე-2 სკოლის ხუთოსანი მოსწავლეები თუმცა ჯალალანია და მურხან მარგალიტაძე დგებიან, მურხანე მარგალიტაძემ ნ მარტს სკოლაში გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულით სავსე სიტყვები წარმოიტკა:

«შენ ნათელ სახელს ვფიცავთ, დიდი ბელადო, რომ ჩვენ, ნორჩი პიონერები კიდევ უფრო მეტად დავიარაზებთ ჩვენი უფროსი ძმის — ლენინურ-სტალინური კომპარტიის გარშემო. ჩვენ, კომუნისტების მოწაველი მშენებლები, თქვენი ბრძანებით წინასწარდასახულებით ვემსახურებით ჩვენს დიად სამშობლოს».

ეს მარტს მისი სიტყვები რაღა, ბელადთან გამოსაღმების ამ მძიმე დღეებში ამას ფუქრობდა საბჭოთა კავშირის ყოველი მოსწავლე, ყოველი პიონერი.

დავც კიდევ უფრო მძიმე წუთი... დაკარგავს წუთი. მილიონობით საბჭოთა ადამიანები სულგანაბული უსმენენ რადიო-რეპროდუქტორს მთელს ჩვენს ქვეყანაში.

გაისმის საარტილერიო ქვეშეშა ზაღბი... მას მოჰყვა ფაბრიკა-ქარხნებისა და ავტომანქანების, გემებისა და ელმაგლების საყვირების გაბმული, გულშეშარავი შმა. ასევე ენაბურება მოსკოვს საბჭოთა მშურ ოჯახში შემავალი ყოველი რესპუბლიკის დედაქალაქი და გმირი ქალაქები.

თბილისის გოდებას ხმას უფრთვებს თექვსმეტი პიონერული საყვირის ვანაში — ეს სტალინის სახელობის ვაჟთა 1 სკოლის 1 რაზმულის პიონერები არიან; ემშვიდობებიან საყვარელ ბელადს, საშუალოდ ეთხოვებიან მის კეთილ ღმობს, მის გულთბილ ლურსს.

პიონერთა სასახლის სამგლოვიარო დარბაზიდან გასვლისას ყოველ ბავშვს რჩება თვალი იმ სურათზე, სადაც გაღიმებულ ბელადს უსაზღვროდ გახარებული ვერა კონდაკოვა მამაშვილური აღერისით აუბს ჩაერული...

აღარ განშორდება მსგავსი რაზმ...

მაგრამ სტალინური მშით გამთბარი სკოლები, პარკები და პიონერთა სასახლები კვლავ ფართოდ გაუღებენ კარს ბედნიერ საბჭოთა ბავშვებს. კვლავ თავისუფლად იფრიალებს მათ მეკრძნე წითელი ყელსახვევები და პიონერულ მოწოდებაზე: «ლენინ — სტალინის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!»

ყოველთვის მდგრად უბასუსებენ:

«შუად ვართ!»

რუსულან პერკინა

მთელი მსოფლიო სულგანაბული მძიმე ფიქრებით დაძვს ათვედა; გათენდა, ვხედავთ გლოვობს მამული, ძაძით მისილი დილა გათენდა.

გლოვობს დიადი კავშირი ხალხთა, გლოვობს მოსკოვი — დიდა მშობლივი. ჩვენს თბილისს მხურავს ტრაურის კალთა, ცრემლი გვდის, ცრემლი შეუშრობელი.

ეს მწუხარება, — სახალხო სევდა აქ ყოველ სახლს და ხსენაც ატყვია, მაგრამ გმხრედებით, როდესაც ვხედავთ მტკიცედ დარაზმულ გმირულ პარტიას. ცოცხლობს ბელადი, ცრემლები კმარა, სტალინის დროშა ახწიეთ მაღლა.

მის საღიდელოდ მარად და მარად მოდის და მოდის ხალხების ტალღა. პარტია — ხალხის სუნთქვა და აზრი — კომუნისტების დიდი პარტია;

მტკიცე გამგმირავა მთავილი ბასრი, კაცობრიობის ვაჟთადაც. დღეგრძელობს ხალხი — მურჯი მშვიდობის, ის დაძლევს მტერს და მოსობს ჯალათებს და სტალინური დროშა დიდებით საუკუნეებს გადააწიებებს.

კალა ბოზონიძე

მისი ნათელი

ნუ ვტირით, ცრემლს არ აფრქვევენ არჩვითა მოღვმის მართვენი!
ის არ მომკვდარა, კვლავ ცოცხლობს, თავს გვადგას მისი ნათელი!

ის მამა იყო კეთილი, წამოგვაფრინა გუნდებდა, სწორ გზაზე გამოგვიყვანა, ის გზა არ ვაგვიმრუდებდა!

მისი მზრუნველი მარჯვენა ჩვენში ყველაფერს ატყვია, მის დიად საქმეს ვანაგრობს ლენინ-სტალინის პარტია.

ნუ ვტირით, ცრემლს არ აფრქვევენ არჩვითა მოღვმის მართვენი!
ის არ მომკვდარა, კვლავ ცოცხლობს, თავს გვადგას მისი ნათელი!

მირონ სარბუაძე



ს ტ ა ლ ი ნ ი

მთელი დღე გაურკვეველი რამ წუხილი შემოსწოლოდა გულს. სადღაც გულის სიღრმეში იგრძნობოდა მისი ფარული ფუსფუსი, რომელიც შეგნების სმენამდე ვერ აღწევდა, იგი ხელს არ უშლიდა მას მუშაობაში. დღესაც ურთულესი საკითხები იდგამის წინაშე. დღესაც ნათელი, პირდაპირი და უზორძიკო იყო მისი აზროვნება, როგორც ყოველთვის. სადღაც გულის სიღრმეში მიმალული წუხილი კი მაინც თავისას განაგრძობდა დამოუკიდებლად. მაგრამ უდიდეს საქმეთა შორის, რომელთაც იგი უძლოდა, ამ მოვლენისათვის გულსისყური ვერ მიეპყრო შესაცნობად.

მხოლოდ გვიან ნაშუადღევს განმარტოვდა თავის ოთახში. დაღლილი იყო და საგარქელში ჩაჯდა. ოთახში სიჩუმე იყო. ერთხანს გარინდული იჯდა. ნელა გატენა ჩიბუხი, მაგრამ, სანამ მოსწევდა, იგრძნო, რომ თავის ჩუმ წუხილთან დარჩა პირისპირ, და გულსისყურიც მყისვე იმან მოსტაცა. შორეული ბავშვობა მოაგონდა. თვალწინ დედა წარმოუდგა და მშობლიური ქოხი, სადაც იზრდებოდა. თბილი ალერსი იგრძნო, მაშინ განცდილი, როცა პატარა იყო და მისი ფასი არ იცოდა. მისი ზრდის მონაწილე პატარა ლოგინი, ღარიბი დგამი თუ ჯამი ისე დაუდგნენ თვალწინ, თითქოს სინამ-

დელიეში ხედავსო. თითქოს თვალები ასხიათო, ისე შემოსიქტვარდნენ. როგორ ხარო, სიყვარულით ეკითხებოდნენ და ზავგზონის სააღერსო სახელს უწოდებდნენ. ჩვენც შენი ხნისა ვართო, გულუბრყვი-ღობ თავს უტოლებდნენ.

მშვიდი და წყნარი იდგა დედა შვილის წინ. გულზე ხელი დაედო და შვილისთვის თვალი თვალ-ნი გაეყარა. რამდენი შიში უნახავს შერთვის ამ გულსო, — ამოზბდა იგი.

აქ უცებ შეწყდა უცნაური ფუსფუსი იმ წუხი-ლისა. ის სავარძლიდან ფიცხლად წამოდგა, თით-ქოს საშური რამ საქმე მივიწყებული ახლა მოა-გონდაო. დარეკა. თითქმე მოუთმენლობა უკრთო-და. სინანული და ჯავრი სახეზე გამოჰხატოდა.

მდივანი შემოვიდა ოთახში. ჰკითხა, შუააზიიდან ცნობა თუ არის იმ დედისერთას გადარჩენისა, ტაშკენტიდან თვითმყრინივით გაგზავნილი ექიმი რომ უნდა მიშველესო.

შეშინებულნი უხავი წყარო

მე იმ თაობებს ვეკუთნი, რომლებსაც დიდი ღვინის სი-ცოცხლე არ ახსოვს. ჩვენ სტალინის დიად ეპოქაში აღვიზარ-დენი და სტალინი ჩვენთვის ცოცხალი ღვინი იყო.

სტალინი იყო იმ დღისა და ღამისის შამაგოშეული, რაც ჩვენს ხალხს შეუქქნია. საბჭოთა ადამიანებო შედამ, როცა რაი-მე მნიშვნელოვანსა და ახალს ქნიდნენ, მღვდლარედ ფიქრობ-დნენ იმაზე, თუ რას იტყოდა, როგორ შეაფასებდა ამ ქმნილე-ბას დიდი სტალინი.

და როცა სტალინი იტყოდა კარგაო, ეს კიდევ უფრო აძლი-ერებდა მიღწეულის მნიშვნელობას და შემოქმედებს ახალი, უფ-რო დიდი გამარჯვებისათვის ალაფრთოვანებდა. სტალინი იყო უღიღესი სტიმული, როგორც სტახანოვილი მწარეველისათვის მიწის ქვეშ, ისე მჭირანებისათვის, რომელიც მეზიდე ცაზე უაღ-ღესი ბილიტატის რეკორდებს აყარებდა; როგორც უხვი, არნა-ბილი მოსავლის ოსტატო კოლმეურნისათვის, ისე პოეტისათვის, მათ კეთილშობილ შრომაში უფრო მეტის, უფრო მაღალის და ღამისის შესაქმნელად.

და როდესაც რადიომ საწინელი ამავა ამცნო მსოფლიოს, ჩვენ შწარედ გაგვიცადეთ ჩვენი ხალხის ცხოვრების, თითოეული ჩვენგანის ბიზრავის ყველაზე მძიმე მიზნები.

სტაქოვარდ დაიძრა ხალხი გორისაკენ. ქალაქებიდან და სოფლებიდან, მატარებლით თუ ფეხით უწყვეტ ნაკადად მიედინ-ებოდა ხალხი იმ პატარა სახლისაკენ, სადაც დიდი ბეუადის აკვინი დარწა.

მუშები და კოლმეურნეები, ჯარისკაცები და ოფიცრები, გო-ნებრივი შრომის აღამიანები ხმამაღლა სტიროდნენ ამ აკვინთან და ფიცს სდებდნენ ღირსნი ყოფილყვენენ იმ დიდი მემკვიდრე-ობისა, რომელიც სტალინმა დაუტოვა საბჭოთა ხალხს.

თბილისში, დიდი სტალინის დედის საფლავზე ადრე დილი-დანვე გროვდებოდა ხალხი და ცოცხალ ყვავილებსა და ცხელ ცრემლებს აყრიდა მის სამარეს, ვინც ასე მარად დაუვიწყარი,

ექიმი იტყობინება, ზავგზონი გადარჩაო, — იყო პასუხი.

დამშვიდდა თითქოს, მაგრამ მაინც წარბებქვე-მოდან მდივანს ირიზად გადაჰკრა თვალი და ხელით ანიშნა, ცნობა მომიტანეო. მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ იმ ხელში ჩიზუხი ეჭირა, ამას წინათ ვატყნი-ვსო. ასანთს გაჰკრა. თითქოს ოთახში ქაირი უზებრა-ესო, ანთებულ ცეცხლს ხელისგული შემოაფარა, თვალები ონდავ მოქუტბა და პირველი ბოლი მაღლა აუშვა.

მდივანმა ცნობა წინ დაუღო მაგიდაზე. ჩიზუხემოდან ელვის სისწრაფით გადაავლო თვალი მოტანილ ცნობას.

და სიხარულმაც უმაღლვე დაშლა მის თვალე-ბთან მიჯრით მიყრილი ნიოჭები.

ლ.ო. ქიჩილი

ასე მარად საყვარელი და ასე გულთან ახლოველი შვილი გაუ-ზარდა საბჭოთა ხალხს, მსოფლიოს და ყველა ჩაგრულ ადამიანს.

ქემარტიად დიდი და გამოუთქმელია საბჭოთა ხალხის მშუ-ნარემა.

ამ და მწუხარებამდე ამაღლება შექმლო მხოლოდ იმ დიდი სიმტკიცესა და დარაზმულობას, რომელიც ჩვენს ხალხსა გა-მოიჩინა მძიმე დანაკარსის ემს.

პირველი წუთიდანვე თითოეული ჩვენგანი განსაკუთრებული ძალით გრძნობდა იმ დღისა და ურდვევ კავშირს, რომლითაც იგი დაკავშირებულია მშობლიურ კომუნისტურ პარტიასთან, ღვინ — სტალინის უძლეველ პარტიასთან.

სადაც უნდა გყოფილიყავით ჩვენ, საბჭოთა ადამიანები მ მარტს, გორში — ბელადის აკვინთან, თუ ურალში, — გაგარაგ-რებულ ბრძიდებთან, თოვლიანი მთების ბილიცზე, თუ შორეუ-ლი ცურვის ზომადის შტურტალოთან, ჩვენი ფიქრი და გრძნი-ბა მიმართული იყო ჩვენი საშობლოს ჩაუქრობელი გულის — მოსკოვისაკენ, წითელ მოედნისაკენ, სადაც სტალინს ფიცს აძ-ლევენდნენ მისი ერთგული თანაშემრბოლები პარტიისა და საბ-ჭოთა ხალხის სასელით.

ჩვენ სულგანაბული ვუსწმინდით სიტყვებს, რომლებშიაც სტალინური ნება და სიმტკიცე იყო ჩაქსოვილი, თვალზე ცრემ-ლი გავშრებოდა და გულში საბოლოოდ მკვიდრდებოდა ურყე-ვი რწმენა სტალინის საქმისადმი, მთელს მსოფლიოში მშვიდო-ბისადმი, ჩვენი ხალხების მომავლისადმი, მშობლიური კომუნის-ტური პარტიისადმი.

ჩვენ ყველანი გულში ვიშორებდით: უკუდავია შენი საქმე, ამხანაგო სტალინ, რადგან შენ ღვინ-თან ერთად შექქმენი და აღზარეუ საბჭოთა კავშირის კომუნის-ტური პარტა!

გრიგოლ უბაშიძე



შავი არშია

არავინ ანებივრებდა იმ დღეს პატარა მზიას — არავინ არ-
თობდა, არავინ ეთამაშებოდა, წიგნზე დასრილობა უფროსმა
ძმამ ხმა არ გასცა კიტა-კიტას შეძახილზე. წარბაქრული
მამა ხან ერთ კედელთან გაშუშდებოდა, ხან მკერდთან. ფეხ-
აკრფით დაღლიდნენ დიდებდა და დედა; მზიასაც უკრძალავ-
დნენ ხმის ათლებსა.

„რა მძიმე დღეა!“ — ფიქრობდა მზია და მოუთმენლად მოე-
ლოდა ფესტალიონის მოხვლას — უშ, რა მზიარული ცაცო იყო
ძია მიხილ გაიღიმებდა, კაკარდიან ქუდს მოუხდიდა და გადას-
ცემდა მზიას უფროსად-გაზეთებს — მხოლოდ მზიას, იმიტომ,
რომ მზია სხვას არავის დაანებებდა. იცოდა მისომ, რომ
მზიას სურათებიანი გაზეთები სიბაღვდა და შორიდან მოსმა-
ხოდა: — ტრაქტორები, კომბაინები, რუსთავის ფოლადი,
თბილისის ზღვა... — მზიას ყველაზე უფრო ძია სტალინის
სურათი ახარებდა.

— ძია სტალინი ძია სტალინი! — შესძახებდა ის და გა-
ზეთს შინ მიაფრიალებდა.

„ნეტავი ძია მისო ჩქარა მოვიდეს!“ — ნატრობდა აივანის
ფანჯარასთან მდგომი მზია. მარტის ქარი კი ქუჩაში გაიკედულ
შავ არშია შემოვლელზე წითელ დროშას აფრიალებდა.

„ყველაფერი შავი არშის ბრალია!“ — გაფიქრდა მზიამ და
მოაგონდა, — როგორ აღარქვიდა წიდან დიდებამ შავ ქსო-
ვლზე მაკრატელი, როგორ შესძახა: „არა, ერთი მითხარი,
ვისთვის გავჭერი ეს შავიო“, და აქვითინდა. მოაგონდა, —
როგორ კერავდა თვალცრემლიანი დედა და თითები ნემსით
ინახლებდა, როგორ აიფარა გოგომ თვალზე წითელი ყელსა-
ხვევი და ტირილით გარეთ გაგარდა. „რადიოც რომ ტირის
დღეს! არა, ყველაფერი შავი არშის ბრალია!“ — ამას ფიქ-
რობდა მზია, როცა მოხვტმა ფესტალიონმა ქუჩა გადმოსჭრა.

— მოდის, ძია მისო მოდის! — კინაღამ ხმამაღლა შესძახა,
მკარამ დაღლივბულ შინაურებს თვალი შეეგლო და ოთახი-
დან ფეხაკრფით გაიდა.

თითსწვერებზე გაიარა შუშაბანდი. ამა, ძია მისომაც შე-
მაბაიჯა ეგოში. მიზრის მზია მისკენ, მაგრამ უცებ სათქმე-
ლად გახსნილი პაწია ტუჩები მოეკუმა, ხმაც სადღაც ყელში
გაეჩიხრა და ჩაუწყვდა.

თავდახრილი მოდიოდა ძია ფესტალიონი. წამწამზე ცრემ-
ლი დაჰკიდებოდა. უხმოდ გადასცა მზიას გაზეთი და უხმო-
ვე გასცილდა. ისიც კი არ უჭკამას, გაზეთში ძია სტალინის
სურათიაო.

ფეხაკრფით შებურუნდა მზია ოთახში, კუბუხში მდგარ სა-
თამაშოებით სავსე მაგიდას მიუგდა და გაზეთი გაშალა.

„ძია სტალინი, უშ, რამდენა ძია სტალინი!“ — უნდოდა
ეთქვა აღტაცებით, მაგრამ სათქმელი ენაზე შერჩა. ძია
სტალინის სურათს ირგვლივ შავი არშია შემოვლელბოდა. ისე-
თივე შავი არშია, როგორც მზიას დიდებამ დღეს დილით
წითელ დროშას შემოავლო.

შეშფოთდა მზია. არ იცოდა მზიამ რა იყო შავი ჩარხო, მაგ-
რამ ცუდი რომ იყო, ხომ იცოდა! უყურა სტალინის სურათს,
უყურა... მერე ჩუმად, მაგიდიდან მაკრატელი აიღო და...
მიხვდა ვერ მასწრეს უფროსებმა, რომ შუაგულამოჭრილი
შავარშიაინი გაზეთი შრიადით იატაკს დაეფინა, ბუღაღის სე-
რათი კი მზიას დარჩა ხელში.

- ეგ რა ჰქენი! — შესძახა მზიას ყველამ ერთხმად.
- ძია სტალინი შავ ჩარხოვან ამოვიყვანე, — უპასუხა
მზიამ და გაოგნებულ შინაურებს დიდი ბუღაღის სურათი
შეაგება.

— ნეტავი შენ, პატარა მზია! — თქვა დიდებამ და უფრო
ძლიერ აქვითინდა.

— ნეტავი შენ, პატარა მზია! — ფიქრობდა მზიას მამა,
როცა სხეუბთან ცრაოდ ფიცს სდებდა, თავდადებით ეჭროზა
ნათელი მოაშვლისათვის.

— ნეტავი შენ, პატარა მზია! — ფიქრობდა სკოლაში ბე-
ღადის სურათთან საპატრო ყარაულში მდგარი მზიას უფრო-
სი ძმა, წითელ ყელსახვევს ცხარე ცრემლით ასველებდა
და ისე, როგორც ყველა მისწავლუ, ფიცს სდებდა, უფრო
ბევითად ესწავლა.

იქ კი, შორის, მოსკოვის კავშირთა სახლის სვეტებთან დარ-
ბაზში ვარდუყვილებში ჩაფლული ვარდუყვილოვანი მო-
მავლის მსუნებელი დიდი სტალინი ცხენა.

ყაყაინებელი ელავდნენ წითელი ყელსახვევები ზღვა
სახლის ტალღებში.

სახლი საღვს, ცრემლი ცრემლს, ფიცი ფიცს ემატებოდა.
ერთმა გოგონამ ოცობლი ყვავილების მოას ერთი ბლუჯა
ყვავილიც მიუშტა. იქნებ ის გოგონა იყო, შარშან, საპასო
აღლემზე ბუღაღ თაიგული რომ მიართვა?!

ის სურათიც ჰქონდა მზიას თავის პაწია მაგიდასთან გაქ-
რული. იმ სურათის გვერდით მოათავსა გაზეთიდან ამოჭრი-
ლი ბუღაღის პორტრეტი. წინ ყვავილებით სავსე სურა და-
უგდა და იმ გოგონას ჩასწურულად:

— აი, დახე, მეც მივართვი ძია სტალინს თაიგული!

თამარ ჩხიძე
ნახ. გ. თოთბიძისა



გეოვის ღღე

მთელი კლასი განიცდიდა ოთარისა და გივის ამბავს: ისინი, ვისი გულწრფელი მეგობრობა აქამდე მაკაბილის მიმცემი იყო, ერთი შემთხვევის შემდეგ ერთმანეთს დაშორდნენ და უბრადა იყვნენ.

მათ ტყულებს ეძახდნენ, თუმცა სრულიად არ გაუდნენ ერთმანეთს. ოთარი შეგვერდმანი იყო — მოგრძო, გამხდარი სახე ჰქონდა; ხოლო გივი — ჩასკნელი, ქერა, ცისფერთალემა და ბიზმრგვალი, რომლის ფუნჩულა ლუცებზე ზამთარშიაც პურული ჩანდა.

ისინი ერთ მერსზე იხილდნენ, დასვენების დროს ერთად თამაშობდნენ და შინისკენ ყოველთვის ერთად მიუგზავრებოდნენ. დილით, სკოლაში მოსვლისას, ისე მიუხალისებოდნენ ერთმანეთს, თითქმის მთელი წლის უნახავი ყოფილიყვნენ. როცა რაიმე შემთხვევის გამო გივი სკოლაში არ მისულა, ჩვეულებრივად ხალისიანი ოთარი, შემოთოვებული იმით, რომ შესაძლოა მეგობარი ავადმყოფი იქნება, დასვენების დროს ისეთი მოწყვენილი დაბორილობად ტოლ-ამხანაგებით ასმაურებულ დერეფანში, თითქმის გარშემო სიყაროელე ყოფილიყო. ოცნებშიც კი საერთო ჰქონდათ: ათასგვარი ფიქრი უტრიალებდათ თავში და ყოველთვის იმას ამზობდნენ, რომ მომავალშიც ერთად იქნებიან და იმუშაებენ თავიანი ქვეყნის საკუთრივად.

რამ გათიშა ასეთი ამხანაგები? რამ დააშორა ისე, რომ აღარც კი ასოვდათ ძველი მეგობრობა და სიყვარული?

მიზეზი ყველამ იცოდა და ყველა იმ აზრს ადგა, რომ ოთარი მართალი იყო თუ გივი მკაცრად გააკიცხა: კლასის ამხანაგებს უკრ კიდევ ზამთარში გადაეწყვიტათ სკოლის ეზოში პალის გამშვენიერება და ხეების დარგვა. როცა დადგა საამისო დრო, დათქვეს, რომ მომავალ კვირას თავს მოყვრიდნენ და,

როგორც საჭირო იყო, წინასწარ ამოთხრიდნენ ორმოებს. მასწავლებლის დახმარებით ოთარმა სკოლაშივე იშოვა რამდენიმე ბარი, სხვა საჭირო იარაღი. ყველაფერი ეს სარდალში ჩაიტანა და გასაღები გივის გადასცა.

— ეს შენ გქონდეს, — უთხრა მეგობარს. — მე ერთი საათით დამიგვიანდება, დედა საავადმყოფოში უნდა წავიდეს მამის სანახავად და პატარა ძმას მე უნდა ვუბატრონო. შენ კი ადრევე მოხვალ, სარდალთან ბარებსა და წერაქვებს ამოიტან, ამხანაგებს დაურიგებ და იმ ადგილზე, სადაც დაგნიშნეთ, მუშაობას შეუდგები.

კვირას, დილით მოწაფეები თავის დროზე შეგროვდნენ სკოლის ეზოში. მაღელ ოთარიც მოვიდა. ის დარწმუნებული იყო, რომ ამხანაგებს მუშაობა გაჩაღებული ჰქონდათ და რაღაც გაოცდა, როცა ისინი უქმად მყოფი დაინახა.

უყვადეს გივის, მაგრამ ის არსად ჩანდა, თითქმის შუადღემ მოაღწია, როცა იმეგავცურებულმა მოწაფეებმა დასტოვეს იქაურობა და შინისკენ გაბრუნდნენ.

„ალბათ ცუდი ამბავია გივის თავზე, — ფიქრობდა ოთარი. — მამს რატომ არ მოვიდა და არც გასაღები გამოგზავნა?“

შემოთოვებულმა, რომ გივის რაღაც ცუდი შემთხვევა, ოთარმა მის სახლს მიაშურა. ქუჩაში სწრაფად მიმავალს ათასგვარი ფიქრი უტრიალებდა თავში, რა არ წარმოიდგინა რაც შეიძლებოდა დამართოდა საყვარელ მეგობარს.

ამ შიშით შეაღო მან კარები და როგორი იყო მისი სიხარული და მერე გაოცება, როცა მხიარულად მყოფი გივი დაინახა.

— დღეს შინ იყავი? — კითხა ოთარმა.
— არა, შინ რა გამაჩერებდა! — წამოიძახა გივი. — ჩვენი

მეზობელი მეტად ტბაზე მიდიოდა ნავის შესაკეთებლად და იმას წაევედო. მეზობელი დამირდა, რომ ზაფხულზე სწორად მათხოვებს. ნავს, ჩაგბტეთ მე და. შენ და მოუყვამ ნიჩხები. რამდენს ვისირინებთ!

ოთარისთვის მოულოდნელი იყო ამის გაგონება.
— შენ რომ სკოლაში გეღლით ამ დღით? — კითხა გო-
ცბეზობაში.

— შენ წარმოიდეინე, სულ დამაეფუცადა — უდარდელად ჩაი-
ლაპარაკა გვიმე. — მომავინდა მხოლოდ მაშინ, რთუა უკვე
ტბაზე მივდი. მაგრამ რალა მექნა, იქიდან ხომ ვერ დაგბრუნ-
დებოდი...

ოთარმა კუჭტად შეაგლო თვალი, მაშინვე შეტრიალდა და
უსიტყვოდ გაშორდა.

მიდიოდა ოთარ და გაკვირვებული ეკითხებოდა თავის თავს:
„ნუ თუ ეს გვიმა?“

როგორ შეუძლია მას ასეთი უდარდელობა გამოერინა? უდარ-
დელობა კი არა, ეს უღირსი საქციელია, ნამდვილი დანაშაული
კოლექტივის წინაშე!

მეორე დღეს მთელი კლასის თანდასწრებით ოთარმა გა-
კიხა გვიმე და ბოლოს უთხრა:

— შენ იმასაც არ ცდილობ, რომ აღიარო დანაშაული და
მიონანიო. შენ იმისი ღირსი არ ყოფილხარ, რომ ჩვენს ამხა-
ნავად იწოდებოდე. ასეთი მოწყუდა არ არის იმისი ღირსი, რომ
წითელ ყელსახვევს ატარებდე.

ეს დღე იყო და ამიერიდან დაშორდნენ ერთმანეთს წინათ
მისიყვარულ მეგობრები.



ამ შემთხვევაზე, ალბათ, კიდევ დიდხანს ილაპარაკებდნენ ამ-
ხანაგები, მაგრამ ამგვარა, რომელმაც ერთ დღეს მოულოდნელ-
ად შესწრა კვებანა, ყველას დაევიწყა ოთარისა და გვიმის
უთანხმოება: სტალინის ავადმყოფობის ცნობამ ყველას თავზა-
რი დასცა. აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე და ჩრდილოეთი-
დან სამხრეთამდე ჩვენი ხალხისანი სამშობლო ერთმა დიდმა
მწუხარებამ შეიპყრო. გონება ვერ ურჩევდებოდა იმას, რომ ყვე-
ლზე მეტრისად და საყვარელი ადამიანის გულისცემა შესა-
ძლოა სულ მალე შეწყვეტილიყო.

ყველგან, ქარხანა იყო ეს თუ ოჯახი, ღრმა სევდა და ფიქ-
რი მშობლიურ ბელადის ბედზე დაუფლებლად ხალხს. შმა-
მადალ ლაპარაკს ეერსად გაიკვირებოდი, თითქოს ყველა ში-
შობდა, რომ ხნაური შეაწყუხებდა საყვარელ ავადმყოფს.

სკოლაში იგივე იყო, რაც სხვაგან, დერეფანში, სადაც დას-
გებენის დროს ჩვეულებრივად გამაყრუებელი კვილე-ხივლი
ისმოდა და ერთობოდნენ ბავშვები, ახლა სირქუდ იყო, ვკუუ-
ჯგუფად იდგნენ მოწყვნილი და ყველას მხოლოდ ერთი მწუ-
ხარება ჰქონდა გულში: საყვარელი სტალინი ავადაა, საყვა-
რელი მამა სუნეგობი მდგომარეობაშია.

მაგრამ გონება მაინც ვერ ურჩევდებოდა ამ ამბავს, არა, ეს
შეუძლებელია! როგორ იქნება, რომ საზარელი სიყვდილის სე-
ლი შევსოს ადამიანს, რომელიც ასე მშობლიურია, ვისი სი-
ოცნსდევ საბერია ყველასათვის, გინც ამ უზარმაზარ დიდამი-
ტბაზე მანამდე ბატონის შრომაში და ბრძოლაში ადამიანური
ცხოვრების მოსაძებნებლად.

ასე ფიქრობდა ყველა და არც ოთარი იშორებდა უმედს,
რომ საყვარელი ადამიანი ზღაღღზე ისევ ჯანმრთელად იქნე-
ბოდა. მაგრამ ახლად დაწყებულ დღეს ახალი მწუხარება მოა-
ტინდა; ავადმყოფის მდგომარეობა უარესდებოდა.

მარტის იმ მწუხარე დღეს სწავლა არ ყოფილა, მაგრამ
გივერმინც წაიდა სკოლაში. შინ ყოფნა უბრძანა: არასოდეს
ასე არ მონატრებია თავის ამხანაგებთან ყოფნა, როგორც ამ
წუთში, ამ დიდი გლოვის დღეს.

გულზე დაწოლილ მძიმე დარდილი მიაბიჯებდა გვიმე. ქუჩე-
ში საშელოდარო აღმები გადმეფინებოდა სახლებიდან. ძაძებით
შევიხლო ჩარჩობებდა იცქერებოდა ნაცნობი საყვარელი სხვე,
რომელსაც ახლაც თავისი კეთილი ღიმილი ამწყვებდა.

სადაც რადიოს ხმა ისმოდა. ნადვლიანი პანკი ეფინებოდა
გარემოს. ეს ხმა ესმოდა გვიმს, მაგრამ მაინც ისე ეჩვენებოდა,
თითქოს გარშემო სირქუდ ყოფილიყო, რომ არა თუ მხოლოდ აქ,
ყველგან, მთელ დედამიწაზე, ახლა სირქუდ და გლოვა იყო...
ნუ თუ სამუდამოდ შეწყდა იმ გულის ძებრა, რომელიც ადა-
მიანისადმი სიყვარულით იყო სავსე? ნუ თუ სამუდამოდ დაი-
ხუბა თვალები, რომელიც ნათელ მომავალს ხედავდა და იქით-
კენ მიხედავდა ყველა?

სკოლის ეზოში გვიმე მრავალი მოსწავლე დაინახა. ერთ
ადგილას შენიშნა თავისი ამხანაგებიც და მათ მიაშურა. თვალ-
ცრემლიანი ჩუბად იდგნენ ისინი და კედელზე გარედან დაკი-
დებულ რადიოს უსმენდნენ. გვიმე თვალი მიმოავლო ამხანა-
გებს და მათ შორის ჩადგა. დიდხანს, დიდხანს იდგნენ ისინი
ისევ უსიტყვოდ, ისევ თვალცრემლიანი, დიდი მწუხარებით
გაერთიანებულნი, დიდი გულისტკივილით შეყრბობიანი.

ამხანაგებს შორის ოთარიც იყო. მის სახეზედაც ღრმა სევდა
აღებუდილიყო. გვიმე რამდენჯერმე შეაგლო თვალი და შემდეგ
უცრად მასთან მიხვდა გადაწყვიტა. ის რამდენიმე დღე, რომ-
ლის განმავლობაში ძველი მეგობრისთვის ხმა არ გაუსცა
ახლა მთელ საუკუნედ ეჩვენებოდა. უნდოდა მასთან მიხვ-
და გაეზარებოდა თავისი გულისტკივილი, მაგრამ ვერ ზღავდა.
სწორედ ახლა, ამ გლოვის წუთებში, მწუხარებასთან ერთად
გვიმე ძლიერად განიცდიდა თავის დანაშაულს ამხანაგების წი-
ნაზე. სწორედ ახლა, ამ მძიმე წუთებში, ის კიდევ უფრო დარ-
ცხვენილი იყო და ტუქსად თავის თავს.

ბოლოს გვიმე მოიკრიბა გამბედაობა, მიუახლოვდა ოთარს,
ამხანაგებს თვალი მიმოავლო და აპრობულებული ხმით მიმართა
ყველას:

— მე დანაშავე ვარ თქვენს წინაშე... მე მართლაც ღირსი
არა ვარ, რომ თქვენს შორის ვიყო... — მღელღარებისაგან უეც-
რად ხმა ჩაუწყდა, წუთით დადუმდა და შემდეგ განაგრძო:

— გაძლევთ სიტყვას, რომ მთელი ჩემი ძალღონით ვცდებმა
გამოყაწურო დანაშაული და თქვენი ამხანაგობის დროს გავე-
დე. სიტყვას გაძლევთ თქვენ, სიტყვას გაძლევ იმას: ვისაც ახლა
ყველა დავგირთ!

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ისევ ჩაუწყდა ხმა და
ჩაჩუმდა.

უცრად ოთარმა ნაბიჯი გადადგა გვიმისკენ, წუთით თვალი
შეაჩერა მის სახეზე და ბოლოს აღერსით უთხრა:

— ამ დიდი გლოვის წუთში შენ ჩვენთან უნდა იქნე, გვიმე...
ამ დღიდან კიდევ უფრო უნდა შევაძვიდროთო ჩვენი რიგები...
მშობლიური ბელადი ხომ აქტუელ მოგვეწოდებოდა და მთელი
თავისი სიოცნსდევ ჩვენზე ზრუნავდა... რითი გადაეუსადოთ
მადლობა? რითი გუპასუხოთ ამავსე? მხოლოდ იმით, რომ
ვიქნებით ისეთნი, როგორც ის მოგვიწოდებდა ყუოფილყვით.

თქვა ეს და ღლიერად ჩამოარგვა ხელი.

სერგო კლიაშვილი

ნახ. ალ. ბანძელაძისა



მისილი ბუბანოვი

ქარიშხალი იქნება*

ახლოვდებოდა მტერთან ანგარიშის გასწორების ეამი.

ამ დღეებში სტალინი ბეგრს ფიქრობდა ჩვენი ჯარების მომავალ კონტრშეტევაზე. ეს კარგად მომზადებული და ორგანიზებული კონტრშეტევა, სტალინის აზრით, უნდა ყოფილიყო შეტევის ძალზე თავისებური სახე, რომლის შედეგად ჩვენს ჯარებს შესაძლებლობა უნდა მისცემოდათ, არა მარტო მოსკოვის მისაღლომებთან გაენადგურებინათ მტერი, არამედ მძლავრად დაერთყათ მისთვის ჩრდილოეთითა და სამხრეთით. კონტრშეტევის დასახული გეგმის განხორციელება, ასე ამგვარად,

შეიძლებოდა ქცეულიყო გადამწყვეტ სამხედრო ძვრად დიდი სამამულო ომის პირველი წლისათვის. მოსკოვის მისაღლომებთან ბრძოლაში საბჭოთა არმიას გამარჯვების დროშა უნდა აღეშარათა, რათა იგი შემდგომ ბერლინამდე გაეტანა.

ფიქრობდა რა კონტრშეტევაზე და გამჭირხად უცდიდა მომენტს მის დასაწყებად, სტალინი ამ დღეებში პირადად ეცნობოდა საბრძოლო მდგომარეობას მოსკოვის მისაღლომებთან გაშლილი ფრონტის სხვადასხვა უბანზე. ახლა სტალინის განსაკუთრებით სურდა, რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყო მოქმედ არმიასთან.

...დიდ სოფელში ვოლოკოლამსკის შოსეზე, გზად—ჩვენი თავდაცვის წინა ხაზისაკენ, ქვის შენობის შესასვლელის თავზე სტალინი დაინახა პატარა თეთრი ალაში მკვდარი, წითელი ჯვრით ცენტრში. ეს იყო არმიის საველი ჰოსპიტალი. სტალინიმა მოულოდნელად მანქანის გაჩერება ბრძანა. რამდენიმე წუთის შემდეგ ის უკვე პალატაში იყო, სადაც უკანასკნელ ბრძოლებში დაჭრილები იყვნენ მოათავსებული.

ისინი ოთხნი იყვნენ. ოთხივენი ერთიანი, საავადმყოფოს თეთრ საწოლებზე იყვნენ. სასთუმლით უფანჯრო კედლისაკენ მიქცეული საწოლები, რომელთა შორის გასავლელი ადგილი დაეტოვებინათ, ერთიგად იყო დაწყობილი. მოპირდაპირე კედელზე სამხრეთის მხარეს ორი ფანჯარა გადიოდა, — დაჭრილები ბალიშიდან თავაუღებლად ხედავდნენ, შოსეს მეორე მხარეს, დაბლა-დაბლა, სახლების თავზე როგორ გადადიოდა მოწითალო მზე.

* ნაწყვეტი რომანიდან „თეთრი არყის ხე“.



ბალატაში გენერლების, ჰოსპიტლის უფროსისა და მორიგე ექიმის თანხლებით უმაღლესი მთავარსარდლის მოულოდნელმა გამოჩენამ ძალზე ააღელვა დაპრილები. ანგარიშშიუცემლად დამპირჩილნენ რა აზრს, — ამდგარიყენენ ზეზე, მხედრულად შეხვედროდნენ სტალინს, — შალის საბნებქვეშ ოთხივემ ერთდროულად გააკეთა მკვეთრი მოძრაობები. მაგრამ მათ შორის მხოლოდ ერთმა, — რომელსაც ხალათქვეშ მკერდი და კისერი ბანდით ჰქონდა შეხვეული, — მოახერხა ლოგინზე დაჯდომა. დანარჩენებმა ერთხელ კიდევ იგრძნეს თავიანთი უღონობა. ახლა ამან განსაკუთრებით მძიმედ ატკინათ გული. მათ შეეძლოთ უსიტყვოდ აეტანათ ყოველგვარი ფიზიკური ტკივილი, მაგრამ არ შეეძლოთ დაეფარათ ის სულიერი ტკივილი, რომელიც განიცადეს ახლა, როცა ძალა არ ეყოათ — ფეხზე ამდგარი შეხვედროდნენ სტალინს: ერთმა მწარედ წამოიკენესა, მეორემ ბალიშზე გულმოკლულად შეარხია თავი, მესამემ ბოლმით კბილი კბილს დააჭირა.

სტალინმა შენიშნა, რომ დაპრილები აღელდნენ. — გამარჯობათ, ამხანაგებო, გამარჯობათ! — თქვა მან ამის გამო რამდენადმე აწეული ტონით და შეჩერდა კარიდან განაპირა საწოლთან, რომელზეც იჯდა დაპრილი გამოცემისა და ბედნიერების დაპრილებული, — მაგრამ მე თქვენთან, ამხანაგებო, ერთი დიდი სათხოვარი მაქვს: თქვენ უნდა იწვეთ მშვიდად... — თქვა მან მას შემდეგ, როცა დაპრილებმა უპასუხეს სალაშქრო, — დიას, დიას, თქვენ უნდა იწვეთ. ჩვენ კი უმგვიდლია და გვმართებს, ვიდრეთ თქვენს წინაშე...

საწოლზე მჯდომი დაპრილი მკვირცხლ, ნაცრისფერ თვალბში დაბნეულობა გამოკრათ.

— ნება მომეცით, ამხანაგო სტალინ, ვიჯდე, — თქვა მან და ხშილ თითებით საწოლის კიდეებს ჩაეჭიდა. — პატისას სიტყვას ვამბობ, მომბეზრდა წოლა. მაგნი მეოთხე დღეა უწყევ... —

— კარგი, იჯექით, — დათანხმდა სტალინი. — თქვენ, მე ვხედავ, ახალი გადაკრეპილი გაქვთ თავი... მეთაური ხართ?

— ზუსტად აგრე გახლავთ! გვარდიის ლეიტენანტი...

- გვარი?
- მურაშოვი.

სტალინმა მორიგე ექიმს შეხედა და მან აჩქარებით მოახსენა, რომ მურაშოვის რამდენიმე პრიობთა აქვს რბილ ქსოვილში ნაღმის ნამსხვრევებით; ორი ნამსხვრევი გუშინწინ ამოუღეს, ოთხი კი შემდეგ ოპერაციამდეა დატოვებული.

— ჰო და, იყოს გაჩრილი! — გამოკოცხლდა მურაშოვი უტებ, და სტალინი მიხედა, რომ მის

წინაშე გაუტეხელი და ალბათ ჩვეულებრივ ცნობარებაში გულმხიარული ახალგაზრდა კაცი იყო. — უფრო მაგრად ვიქნები, მეტი არაფერი მე მაშინ მხოლოდ ჯავშანატანით თუ-ღა...

— დიდი ხანია ფრონტზე ხართ, ამხანაგო მურაშოვი?

- ომის პირველი დღიდან, ამხანაგო სტალინ!
- პირველად გამოხვედით მწყობრიდან?
- ზუსტად აგრე გახლავთ!
- მითხარით, ამხანაგო მურაშოვი, — დაიწყო სტალინმა და საწოლის ზურგს ხელი ჩაჰკიდა, — ომის რომელი პერიოდი იყო თქვენთვის უფრო მძიმე?

- პირველი თვე, ამხანაგო სტალინ!
- გასაგებია. ახლა?

მურაშოვმა ამოიხიზა, მაგრამ ღიმილით უპასუხა:


— ბრძოლა, რა თქმა უნდა, არც ახლაა ადვილი, ამას პირდაპირ ვიტყვი. გერმანელებს ჯერ კიდევ დიდი უპირატესობა აქვთ ტექნიკის მხრივ. ისიც სამძიმოა, ასე ახლოს რომ არიან მოსკოვთან. და მაინც, ბრძოლა გაცილებით იოლია ახლა, ვიდრე თუნდაც ერთი თვის წინათ...

— მაინც რატომღაა იოლი? — ჰკითხა სტალინმა.

— ჯერ ერთი, ამხანაგო სტალინ, ჩვენ ის ალბათ ვართ... — უპასუხა მურაშოვმა, — ნახეს ჩვენმა მეომრებმა ევ ფაშისტები პირისპირ, ფაქტებით გაიცნეს, ვინც არიან, და კარგად, ძალიან კარგად შეიგნეს, რა საფრთხეც ემუქრება ჩვენს ქვეყანას... და ყველა მრისხანე, დაუნდობელი გავსა ბრძოლაში. ამის გამო ძალაც მოგვემატა თითქოს. და ყველა მიხვდა, რომ ქეშმარიტად, როგორც თქვენა თქვით, არც ისე საშინელია ეშმაკი, როგორც მას გვიხატავენ... ახლა ყველამ იცის, რომ ლაპარაკი გერმანელთა არმიის უძლევლობაზე — სულელური ზღაპარია, მხოლოდ ყბედობაა. გარბიან ახლა ჩვენგან გერმანელები, მერედა, როგორ გარბიან! აი, ამის გამოა, რომ გაიოლდა ბრძოლა...

- ეგრეთი. ბოლო მეორე? — ჰკითხა სტალინმა.
- მეორეც ის, რომ გერმანელებიც ის ალბარიაან... — განავრძობდა მურაშოვი, — მოკლედ, მიხვდნენ, რომ ყაჩაღობა სხიფათო საქმეა. მე ტყვეებთან მისაუბრია, ამხანაგო სტალინ. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ სჯეროდათ, რომ მოსკოვს მალე აიღებდნენ, ახლა კი უკვე აღარც ფიქრობენ მოსკოვზე...

- აღარც ფიქრობენ?
 - ზუსტად აგრე გახლავთ!
- უსმენდა რა მურაშოვის, სტალინმა რამდენჯერმე გადახედა დანარჩენ დაპრილებს, თითქოს ცდი-



ლობდა გაეგო, როგორ იყენენ ისინი განწყობილ-
ნი ლეიტენანტის მსჯელობისადმი.

— აი, ესენი დამიდასტურებენ, — თქვა მურა-
შოგმა და ამხანაგებს მიუბრუნდა: — სწორად ვამ-
ბობ, ბიჭებო?

მეზობელ საწოლზე იწვა მარჯვენა ხელმო-
კვეთილი, ძალზე ფერმისილი დაპრალი. იგი
აღელდა, როცა სტალინი მიუახლოვდა, მაგრამ
მის ფართო, კეთილ სახეს თვით ამ მღელვარებში-
სგანაც არ შეჰმატებია ფერ-სისხლის ნატამალი.
ოღონდ საბანქვეშ, მკერდზე, სამჯერ ზედიზედ
შეთუთოვდა ერთადერთი ხელი.

მან ხმადაბლა დაადასტურა:

— ეს მართალია, ძალიან დასუსტდა გერმა-
ნელი...

შემდეგ საწოლზე უძრავად იწვა ბანდით თავ-
შეხვეული დაპრალი, — მოუჩანდა მხოლოდ კერპი
ტუჩ-პირი, პირველად აბზეცილი ცხვირი და დი-
დი, მუქი, ქლიავისებური თვალები. იგი რახანია
უცდიდა მის საწოლთან სტალინის მიახლოვებას
და მთლად გული გადაეღია მოუთმენლობითა და
ბედნიერი წუთის მოლოდინით.

იმანაც დაადასტურა; ლაპარაკის დროს ლე-
ლავდა:

— ქანცი აქვს გაწყვეტილი გერმანელს, მას
აწი უნდა ურტყა მხოლოდ...

მარჯვენა ხელის მსუბუქი ჟესტით შეაჩერა
სტალინი მორიგე ექიმები, რომელიც ეპირებოდა
მოუხსენებინა მისთვის ამ ორი დაპრალის მდგო-
მარობის შესახებ, — მოხსენების გარეშეც ნათელი

იყო, რომ მათი მდგომარეობა მძიმეა, რომ ისინი,
თუ სამუდამოდ არა, დიდი ხნით მაინც გავიდნენ
მწყობრიდან. და სტალინიმ, ამოიოხრა რა მალვით,
ძალიან ფრთხილად, რათა არ გაემიზნებინა ამ
ადამიანთა უფრო დიდი, სულიერი ჭრილობები,
ის ჭრილობები, რომლებიც ექიმს დაავიწყდა,
დაუწყო მათ გამოკითხვა: საიდან არიან წარმო-
შობით, სად და რას აკეთებდნენ ომამდე, როგორ
ცხოვრობენ მათი ოჯახები, ჰყავთ თუ არა ბავშვე-
ბი, იღებენ თუ არა წერილებს ოჯახიდან, წარდ-
გენილი არიან თუ არა ჯილდოზე...

... მეოთხე საწოლზე, კედელთან, მატყეი იურ-
გინი იწვა. ის იწვა მალა, რამდენიმე ბალიშზე,
საბანი მკერდამდე ეხურა. იგი შეაკერდა მოახ-
ლოებულ სტალინს გაცეების იმ მოულოდნელი,
ურველო გამომეტყველებით, როცა თითქმის შეუძ-
ლებელია თავი შეიკავო შეცვარებისაგან... მან
თითქოს პირველად დაინახა სტალინი პალატაში.
და სტალინი მიხვდა, რომ იმ რამდენიმე წუთის
განმავლობაში, როცა იგი დაპრირებს ესაუბრებო-
და, იურგინი გონივრული იყო და მას ახალადა
დაუბრუნდა ცნობიერება.

— ეს... თქვენა ხართ? — ჰკითხა იურგინმა, თან
ფიცხად და სტყვენი სუნთქავდა. — ეს... მართალია?

— ჰო, მე ვარ, — მიუგო სტალინიმ.

ჩააკერდა რა იურგინის მოყვითალო-მიწისფერ
სახეს; გამხდარს, შავი ღინღლით დაფარულ ყვრი-
მალებს; აღზნებულად, ავადმყოფურად გაბრწყინ-
ებულ თვალებს, სტალინი მიხვდა, რომ დაპრი-
ლის მდგომარეობა სახიფათოა სიცოცხლისათვის.

სტალინი დალილიად დაეწევა ტაბურეტზე, საწოლ-თან, თავქვეშ ფრთხილად გაუსწორა იურგინის ბალიში და ჰკითხა:

— გიძმის?

იურგინმა სტალინს მხოლოდ მზერით უპასუხა: ჰო, მას არ შეუძლია იცროუს, მას ძალიან უძძიმს სიკვდილიდან ბრძოლა, და მან არც კი იცის, ვინ გამოეცა ამ ბრძოლაში გამარჯვებული.

— გამაგრდით, — უთხრა სტალინმა.

იურგინმა მიიღო რჩევა და წამწამები ოდნავ დახარა; მაგრამ აქვე, თვალებით სთხოვა სტალინს, დახრილიყო მისკენ და, როცა სტალინმა მისი თხოვნა შეასრულა, ჩურჩულით ჰკითხა:

— მალე?

სტალინი მიუხვდა შეკითხვას, კიდევ უფრო დაბლა დაიხარა იურგინისაკენ და ჩურჩულითვე უპასუხა:

— ძალიან მალე...

დაკვირვებს გამოჯანმრთელება უსურვა სტალინმა; გამოვიდა პალატიდან, მორიგე ექიმის კაბინეტში შევიდა, ფანჯარასთან გაჩერდა და ერთ წუთს ასე მდუმარედ გაჰყურებდა მზის ქვეშ ვერცხლისფრად მოღვარე შექირხლულ ტყეს... შემდეგ ხმადაბლა, ისე, რომ არ შემობრუნებულა, ზურგსუკან მდგარ ექიმს ჰკითხა:

— გადარჩება?

ექიმმა დამნაშავესავეთ უპასუხა:

— ჩვენ არ გვაქვს არავითარი იმედი...

სტალინი უკებ შემობრუნდა და თქვა:

— თქვენ უნდა გქონდეთ იმედები!

შემდეგ მან ჩუმად, აღელვებით ჩაილაპარაკა:

— უკვდავი ხალხია!

შეზინდების წინ სტალინი ჩვენი თავდაცვის წინა ხაზზე იყო — მაღალ, ტყიან სერზე, ვოლოკო-ლამსკის შოსესთან.

მესამე დღე იყო, აქ დუმილი იდგა. გორაკებს თავს დაჰფარფატებდნენ ძალზე მსუბუქი, ბაბუა-წყვრას თვისლივით მჩატე ფიფქები; თუმცაღა ირგვლივ ნყურდობა სუფევდა, ისინი ფარფატებდნენ დაუსრულებლად და დიდხანს ვერ პოულობდნენ ადგილს მიწაზე.

სტალინი და თანხლები გენერლები პატარა ჯგუფად გავიდნენ ტყის დასავლეთი ნაპირისაკენ, საიდანაც, მურყანის დათოვლილ ბუჩქებს შორის, უბრალო თვალთაყ შეიძლება დიდი სივრცეების დათვალვებდა.

— ასე ამგვარად, ეს სოფელი ლენინია? — იკითხა სტალინმა, ხელი წინ გაიშვირა, შემთხვე-

ვით მურყანის ტოტს გამოსდო და შალის ხელ-თათმინიდან მშრალი ფიფქი გადაიბერტყა. — ლენინო... — გაიმეორა მან ფიქრიანად, როცა დას-ტური მიიღო, და უკებ გენერლებს მიუბრუნდა: — მართლა, რა ერქვა მაგ სოფელს წინათ?

ორმა იქვე, გვერდით მდგომმა გენერალმა ერთ-დროულად და სრულიად ანგარიშმიუცვლად დახედა თავის რუკას, მაგრამ სოფელს რომლის წინაშეც ისინი ახლა იდგნენ, ბუნებრივია, რუკებზე მხოლოდ ერთი — მარავალი წლის წინათ მინიჭებული სახელწოდება ჰქონდა.

თუმცა გენერლები სრულიად არა ჰგავდნენ ერთმანეთს, მაგრამ ორივეს სახეზე განდნა აბსო-ლუტურად ერთნაირი, მკაფიო გამომეტყველება სინაზლისად, — საქმეში ჩაუხედაობის გამო, ასევე ერთდროულად შეხედეს გენერლებმა ბორჯინს — იმედოვნებდნენ, რომ ის იხსნიდა მათ, მაგრამ დივიზიის მეთაურმა, რომელიც უკვე შინაგანად მომზადებული დახვდა შეკითხვის გამოხატვლად მათ შემოხედვას, მხოლოდ ულგავაში შეარხია ოდნავ და თავის მხრივ ოზეროვს შეხედა... მაგრამ არც ოზეროვმა იცოდა სოფლის ძველი სახელწო-დება. გვარდიის მაიორმა ოზეროვმა ჩასთვალა, რომ ეს ამბავი მისატყვებელი იყო ყველასთვის, ხოლო სრულიად მიუტყვევებელი პირადღ მისთვის, განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, იმის გამო, რომ თავისი პოლით უკვე რამდენიმე დღეა ლენინოს-თან დგას... ამიტომ წამსვე გაწითლდა და დახმა-რების ძებნაში იქვე მდგომი ჯარისკაცებისაკენ დაიწყო ტყერა.

— მგონი, არავინ იცის? — იკითხა სტალინმა.

ამ მომენტში გვარდიის სერჟანტი ანდრეი ლოპუხოვი, რომელიც ჯარისკაცთა ჯგუფში იდგა, თითქოს ეს შინაგანი ბოძით მოხდაო, ადგილზე გაიჯგამა და მეკრდებ დაკიდული ავტობატი კი-დღე უფრო მაღლა ასწია.

სტალინმა უმაღ წენიშნა ანდრეის ეს მოძრაო-ბა და მშვიდი, შემსწავლელი მზერა შეაჩერა მასზე. შავს, გაბრწყინებულ თვალეებში მაღალი, ახალ-გაზრდა კაცისა, რომელსაც ქარდაკრული, მაგრამ ლამაზი, რუსული, ბედნიერი სახე ჰქონდა, სტალინმა დაინახა გაბედულება, მზაღყოფნა რალაცის სათ-ქმელად.

— თქვენ იცით, არა? — ჰკითხა სტალინმა ლო-პუხოვს.

ანდრეი წინ წამოდგა ერთი ნაბიჯით.

— ზუსტად ავგო გახლავთ, ამხანაგო უმაღლშ-სო მთავარსარდალო.

— რა ერქვა წინათ ამ სოფელს?

— ამხანაგო უმალღესო მთავარსარდალო, ამ სოფელს წინათ ლუპიხა ერქვა.—მკაფიოდ, გარკვევით უპასუხა ანდრეიმ და იმ წუთში მხოლოდ იმით იყო გახარებული, რომ უბორძიკოდ პასუხობდა.

სტალინმა გადადგა ნაბიჯი ანდრეისაკენ.

— თქვენ ლენინოდან ხართ, ამხანაგო ლოპუხოვ?

— სრულიად არა, ამხანაგო სტალინ!

— ძველი სახელწოდება საიდანაა იცით?

— შეგზვდი ერთ მეზობლს, ამ მხარისა იყო, ამხანაგო სტალინ! ვისაუბრეთ და მეც დავინტერესდები, რა ერქვა ამ სოფელს წინათ.

— მერე-და, რად დაინტერესდით?

— ყოველ შემთხვევისათვის, ამხანაგო სტალინ! სტალინმა ოდნავ შესამჩნევად ჩაიციხა.

— გამოდის, ამოდ არ მოქცეულხართ აგრე, — თქვა ნება-ნება და ფიქრიანად. — ჩვენმა მეომრებმა ყოველთვის და ყველაფერი უნდა იცოდნენ. ყოველ შემთხვევისათვის. მაშასადამე, ყოფილი ლუპიხა? — განავრძო მან და ახლა უკვე ყველას მიმართა — ესეც შესაფერი სახელწოდებაა... — თავი დასავლეთისკენ გადაიქნია და ოდნავ ხმას აუწია. — იი, სწორედ აქ უნდა დაეცხთო გერმანელ დამპყრობლებს, შეუბრალებლად დაეცხთო იმისათვის, რომ გაბედეს და თავიანთი ქუჭუყიანი ხელი ლენინის ქვეყანაზე შემართეს!

სტალინმა ის იყო მოჰკიდა ხელი ბინოკლს, რომელიც მკერდზე ეკიდა, მაგრამ აქვე ხელახლა შებრუნდა ჯარისკაცებისაკენ:

— თქმა არ უნდა, მათ უკვე მაგრად მოხვდათ აქ, — წარმოთქვა მან, თან ანდრეის შესტკეოროდა, რომელიც მას ძალზე მოეწონა სიხალგაზრდავითაც და მხედრული წარმოსადევობითაც. — მაგრამ მე ვფიქრობ, საპიროა კიდევ უფრო მაგრად დავკრათ, კიდევ უფრო დაუნდობლად. საინტერესოა ვიცოდეთ, რა მოსაზრებები გაქვთ ამ საქმეზე თქვენ, ამხანაგო გვარდიელებო?

ანდრეი სმენაზე დადგა.

— ამხანაგო უმალღესო მთავარსარდალო, — წარმოთქვა მან მკაფიოდ და გაბედულად. — ყველა გვარდიელი მოსაზრება ასეთია, რომ დროა გზა ვუჩვენოთ ამ ნადირს! ჩვენ მხოლოდ ბრძანების ვუცდით!

— სწორი მოსაზრებაა, ამხანაგო გვარდიელებო, ძალიან სწორი, — სერიოზულად თქვა სტალინმა, — ჰო, დროა განვდევნოთ ეს გამხეცებული დამპყრობლები ჩვენი მიწიდან!

მოსკოვზე გერმანელ ფაშისტთა ჯარების მეორე შეტევა, ისევე როგორც პირველი, უკვე ჩაიშალა. მოსკოვის ალყაში მოქცევისა და ალბების გეგმა სანის ბუშტივით გასკდა. ეს ჩვენთვისაც ნათელია და გერმანელ დამპყრობთათვისაც... სწორედ ამიტომ გაემგზავრა ჰიტლერი აღმოსავლეთის ფრონტიდან. გადაწყვიტა, თავისი გასეირნებებისთვის იქით, სადმე შორს აერჩია მყუდრო კუნძული. დაფრთხა. გაიპარა. მაგრამ ის ვერ გაეშეშა პასუხს. ყველაფერზე პასუხს აგებს!


სტალინმა ხელახლა მოჰკიდა ხელი ბინოკლს და უცებ თქვა:

— ქარიშხალი იქნება.

ყველამ მყის მიიხედ-მოიხედა და მცირედ როდი დარჩა გაოცებული ბუნებაში მომხდარი ცვლილებით; ეს ცვლილება მომხდარიყო იმ უკანასკნელი წუთების განმავლობაში, როცა ისინი სტალინს უსვენდნენ. ცა ამღვრეულიყო, ტყეები თხელი, გამჭვირვალე ნისლით შებურვილიყვნენ... ფიფქები განსაკუთრებით სწრაფად, შეშფოთებით დატრიალდნენ, ველებიდან სიცივემ მოჰბერა... და ყველამ უნებლიე ერთხანად შეიგრძნო: ჰო, ცოტა კიდევ, ცოტაც, და მოსკოვის მთელს არემარეზე, მოსკოვის მთელს მიწაზე ერთბაშად ცამდე აღდგებოდა და დასტვენდა, დაჰბერავდა მთელს ქვეყანაზე შეუჩერებელი მძლავრი რუსული ქარიშხალი.

თარგმანი მუჰამად ლეჰანიძის

ნახ. კ. მახარაძისა





შინაარსი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან 2

ბელადის კუბოსთან 4

ალექსანდრე აბაშელი — ის აქ არის, არ მომკვდარა (ლექსი) 13

არნო ონელი — ენი დაიჯეროს (ლექსი) 13

ოთარ კუპრავა — პიონერული დიცი (ლექსი) 13

მუსხან მაჭავარიანი — სტალინს უკვდავოეს პარტია ჩვენი (ლექსი) 15

ზურაბ ლორთქიფანიძე — შენს სახელს ვფიცავთ (ლექსი) 15

ნიმონ შამგრიანი — მშობლიურ კომუნისტურ პარტიას (ლექსი) 15

ირაკლი აბაშიძე — ბელადის სახლი ძაძებში (წერილი) 18

რუსუდან პერკინა — თბილისის პიონერ-მოსწავლეები ეთხოვებიან ბელადს (წერილი) . . . 20

კალე ბოზოხიძე — მსოფლიო ნალოვანს — (ლექსი) 21

მირან სურგულაძე — მისი ნათელი (ლექსი) 21

ლევა ქიჩელი — სტალინი 22

გრიგოლ აბაშიძე — შემოქმედების უსრეტი წყარო 23

თამარ ჩხაიძე — შვიი არშია 24

სერგო კლდიაშვილი — გლოვის დღე 25

მისიელ ბუბენოვი — ქარიშხალი იქნება (ნაწყვეტი რომანიდან „თეთრი არყის ხე“) . . . 27

პიონერთა დიცი (მოსწავლეთა ლექსები) გარეკანის მე-3 გვ.

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ვკუთვნის ალ. ბანძელაძეს.

გარეკანის მეორე გვერდზე — „ლენინის და სტალინის მავზოლეუმი“

გარეკანის მესამე გვერდზე: სამგლოვიარო მიტინგი გორში — ფოტო ვლ. გინზბურგისა.


ფურნალი დისურათებულია მხატვრების: ალ. ბანძელაძის, გ. თათბაძის და კ. მახარაძის მიერ.

რედაქტორი რევაზ მარგიაში. სარედაქციო კალენჯია: რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, ზ. შელია, ვ. კელიძე, მ. ლეხანიძე (პ/მ, მდიანი), მარიჯანი, გ. ფიცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии Март № 3, 1953, Тбилиси, საბლიტგამი
Ленина 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3-81-85.

№ 00481 ტირაჟი 15.000 გამოცე. შვე. № 110 სტამბის შვე. № 332. ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის 14, გარეკანი დაბეჭდილია „ხარია ვოსტოკას“ ოფსეტ-მანქანზე, რუსთაველის 42.





პ ი ო ნ ე რ თ ა უ ი ც ი

წინ მიგვიძღვის მისი საქმე

სევდიო არხებს ძაბით მოხილ
დროშებს ცივი ქარი.
გლოვის მანგმა მოიარა
ქვეყნის მთა და ბარი.

ალარ არის, ვისაც ქვეყნად
სულ მშვიდობა სურდა,
ვისაც ხალხის ყველა მტერი
მითელ გულით სძულდა!

ალარ არის, ვინაც ხალხის
გაამთელა გული;

ვინც ქვეყანას მოუტანა
შეება-სიხარული

მიხებრ დიად ადამიანს
შოხს ათასი წლები
და მის სახელს ვერ წაშლიან
საუკუნეები!

განა მართლა მოკვდა იგი,
განა დაგრიოთ ობლად?!
წინ მიგვიძღვის მისი საქმე
მუდამ მანათობლად!

ირ. მანაბელი

თბილისის ვაჟთა მე-7 საშ. სკოლის მოსწავლე

ს ა ყ მ ბ რ ი ლ გ ე ლ ა დ ს

ეს რა დილა გავგვიფინდა,
დრუბლიანი, შავი.
ვხედავ, დროშებს, წითელ დროშებს
დაუხრია თავი...

სტალინი სტალინი ყველა გლოვობს,
ყველას გული სტავია.
დარდით სავსე თვალბიდან
ყველას ცრემლი სცვივია.

ვოცნებობდი: გავიწირდები...
ვასახლებ... ვნახავ...
მაგრამ დღეის გლოვის ზარი
გულში მასობს ლახვარს.

ფიცს ვებოთ, წმინდად სულ ვატარებთ
პიონერის სახელს
და ჩვენს გულში შევინახავთ
შენს საყვარელ სახეს.

ზ. ჯორჯაძე

თბილისის ვაჟთა მე-5 საშ. სკოლის მოსწავლე

ს ტ ა ლ ი ნ ი უ კ ვ დ ა ვ ი ა

წითელ ალამზე ფრიალებს ობლად
სამგლოვიარო და თაღის ფარჩა...
მე ვოცნებობდი სტალინის ნახვას
და ეს ოცნება ოცნებად დარჩა.

მწარე ცრემლსა ღვრის დედა მოსკოვი,
პატარა გორიც ცრემლსა ღვრის მწარეს

მაგრამ კრემლიდან, როგორც ცოცხალი,
ბელადი ისევე გვაშუქებს თვალებს.

ის არ მომკვდარა, რა არის გლოვა,
ის უკვდავი და ცოცხალი არის.
მუდამ იცოცხლებს ბელადის საქმე,
არა, სტალინი არ არის მკვდარი!

ა. ქაშია

თბილისის ქალთა მე-13 საშ. სკოლის მოსწავლე

შ ე ნ ს ო მ ს ხ ა ლ ი ხ ა რ ი

ეს რა დრუბლები მოედო მზეთა,
ღელავს მტკვრისა და ვოლგის ტალღები...
ხედავთ, ცრემლები მოცვივია ზეცას,
ძაბით მოხილა კრემლის თაღები!

მის სახელს ფიცავს ბერძენი დედა,
ფრანგი მეთევზე დალონებულნი.

ღვას ინდოელი... იღვრება ცრემლად
მთელი მსოფლიო დაობლებული.

მაგრამ არ დაგვრით დროშას არახდრის,
ჩვენ შენი სიბრძნე ჯავშნად გვარტყია.
შენს დიად საქმეს მტკიცედ განაგრძობს,
ხალხს მიუძღვება შენი პატივა.

ბ. ბალაშაძე

თბილისის ვაჟთა მე-8 საშ. სკოლის მოსწავლე

252/262

366

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՖՈՒՏԲՈՒԼԻ

